

ბასა ჯანიკაშვილი

ლაზადა და ფესაცმელი

პიესა
კომედია

ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახავ, ვერ ირწმუნებ,
და ზოგი - იმისთანა, თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ.

ილია ჭავჭავაძე

მოქმედი პირნი:

სულიკო ცაბურია – მოხუცებული ქალბატონი

მურმან ცაბურია – სულიკოს თხუთმეტი წლის წინ გარდაცვლილი
მეუღლე. შესაბამისად, სულიკოზე თხუთმეტი წლით
უმცროსი მამაკაცი

ქეთინო ასანია – სულიკოს მეზობელი. მოხუცებული ქალბატონი

ზვიად ასანია – ქეთინოს თხუთმეტი წლის წინ გარდაცვლილი მეუღლე.
შესაბამისად, ქეთინოზე თხუთმეტი წლით უმცროსი
მამაკაცი

ალჟირ ცაბურია – მურმან და სულიკო ცაბურიების შვილი. საშუალო ასაკის
მამაკაცი.

გივიკო – მურმან და სულიკო ცაბურიების შვილიშვილი, შესაბამისად, ალჟირ
ცაბურიას შვილი. სტუდენტი.

მიქელი – საიქიოს მზრძანებელი

ადგილობრივი ტელევიზიის ოპერატორი – პარალელურად ჟურნალისტი.
მამაკაცი

ლია – ქალის ხმა ტელევიზორიდან

თარაში – მამაკაცის ხმა ტელევიზორიდან

ქალის ხმა ავტომობილის რადიოდან

სურათი პირველი გარდაცვალება

კოლხეთის დაბლობის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში ზაფხულია. სადამოა. შორიანხლოს მოჩუხჩუხე მდინარის ხმა ისმის. ჭრიჭინები დასაძინებლად ემზადებიან და მომაბეზრებლად ჭრიჭინებენ. ხის ტოტიდან ჩიტი აფრინდება, მას კი მეორე მიჰყვება. ისინი ახლოს ჩაგვიფრენენ. ამ მშვიდ გარემოს ვილაცის ფეხის ხმა არღვევს - ჯერ ბალახზე აშლილი ხმაურით, შემდეგ კი ხის კიბეზე ფრთხილად გადადგმული ნაბიჯით. დაუპატიჟებელი სტუმრის ფეხის ხმასთან ერთად ტელევიზორიდან გამომავალი დრამატული მუსიკის ხმაც მატულობს. ვხვდებით, რომ სტუმარი სახლს უახლოვდება. ეზო გადაჭრა და ხის კიბეებზე დაიწყო ასვლა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ხის იატაკზე მიაბიჯებს. სიმძიმისგან ხის დაფები სასოწარკვეთილად ჭრიალებს. უეცრად ნაბიჯების ხმა წყდება.

ტელევიზორიდან გამომავალი ფსევდოგანმგმირავი მუსიკა კარს მიღმა - ოთახიდან გვესმის. ძველებური კედლის საათი შვიდჯერ ჩამოჰკრავს, რაც იმის მაუწყებელია, რომ სადამოს შვიდი საათია. ვხვდებით, რომ დედაქალაქის დროით ერთ-ერთ პოპულარულ არხზე ქართული ტელეპროდუქტის „საუკეთესო“ ნამუშევარი დაიწყო.

სტუმარი ხის კარს ფრთხილად აღებს, რასაც კარის ჭრიალი მოჰყვება. ამის შემდეგ ტელევიზორიდან გამომავალი მუსიკა ახლოდან გვესმის. ჩვენ უკვე ოთახში ვართ. ტელევიზორში სერიალია. მომდევნო დიალოგი ტელევიზორის ხმის ეფექტით თამაშდება.

ლია – (შეშინებული) ბატონო თარაშ, ძალიან გთხოვთ, ძალიან გთხოვთ...
თარაში – (იცინის) ლია, ლია, როგორ მინდიხარ!

ლია – ბატონო თარაშ, მე ვიცი, რომ თქვენ მკვლეელი არ ხართ, მაგრამ იქნებ შემთხვევით გაგივარდეთ...

თარაში – (ცინიკურად) მე შემთხვევით არაფერი მივარდება, ლია.

ლია – (ქოშინით საუბრობს) ბატონო თარაშ, გთხოვთ, დედათქვენი გაიგონებს და მერე მომკლავს.

თარაში – შეჩერდი!

ლია - ბატონო თარაშ, თოფს ნუ მიმიზნებთ, არ შეიძლება იარაღით ხუმრობა.

თარაში - მე არ მეხუმრება, ლია!

(მუსიკის ხმა მატულობს და თითქოს გვიმტკიცებს, რომ მსახიობების სათამაშო ოსტატობა და სცენარისტის ტექსტები იმდენად უსუსურია, რომ მხოლოდ მუსიკას შეუძლია მისი გაკეთილშობილება)

ამ სერიალს ერთი წვრილფეხა ოდის მისაღებ ოთახში, მრგვალ წაბლის ხის მაგიდასთან ორი დარბაისელი ქალბატონი უცქერს. სახლის დიასახლისი სულიკო ცაბურია – (რომელიც სულ რამდენიმე წუთში გარდაიცვლება) და მეზობელი ქეთინო ასანია.

ქეთინო – (ყავის ჭიქას აიღებს, მოხვრებს და ლამბაქზე დადგამს) დაგეძინა, სულიკო?

(სულიკოს პასუხი არ გვესმის და ეს ბუნებრივია. სულიკო თვალსა და ხელს შუა გარდაიცვალა. მაგრამ ეს ჯერ არ იცის მეზობელმა ქეთინო ასანიამ)

ქეთინო – შეხედე, სულიკო, შეხედე, როგორ მიუშვირა თოფი ამ არაკაცმა. რას ერჩის ამ პატარა გოგოს?

ლია - (კვლავ ტელევიზორიდან გამომავალი ხმის ეფექტი) ბატონო თარაშ, ბატონო თარაშ... (ისმის სილის გალაწუნების ხმა)

ქეთინო - (იცინის) ხედავ, როგორ გაულაწუნა? ეგრე უნდა მაგას! ყოჩაღ, გოგო! (გულიანად იცინის) ჰა–ჰა...

(სტუმარი ოთახში გადაადგილებას იწყებს. ფრთხილად მიაბიჯებს. სტუმრის ნაბიჯები ქეთინო ცაბურიას ემოციური გამოსვლის ფონზე ისმის)

ქეთინო - არა, ეს კაცი არ მიყვარდა თავიდანვე. სულიკო, გახსოვს რომ გეუბნებოდი, არ უნდა დაეწყო მანდ მუშაობა ამ საწყალ გოგოს. ეგრე უნდა მაგას! (იცინის) ჰა-ჰა, მასე უნდა მაგას! (ყავას მოსვამს)

(სტუმრის ნაბიჯების ხმა წყდება. ეს ხმა სულიკო ცაბურიას მეუღლეს, თხუთმეტი წლის წინ გარდაცვლილ მურმან ცაბურიას ეკუთვნის)

მურმანი – (ჩუმად) სულიკო, სულიკო...

სულიკო - (ნამძინარევი ხმით) მმ-მმ... ვინ ხარ...

მურმანი - მე ვარ სულიკო, შენი ქმარი, მურმანი.

სულიკო – (სწრაფად გამოფხიზლდება. შიშისაგან შეჰკვივლებს) ღმერთო, შენ მიშველე!

მურმანი – რა გჭირს, ადამიანო, მე ვარ, მურმანი.

სულიკო – დედა, მომიკვდეს თავი! რა გინდა აქ, ბიჭო?

მურმანი – არ მოგენატრე, სულიკო?

სულიკო – როგორ არ მომენტრე, თხუთმეტი წელია მკვდარი ხარ უკვე.

მურმანი – შევიცვალე?

სულიკო – რა შეგცვლიდა, შე უბედურო! რავარც დაგმარხე, ისეთი ხარ ზუსტად.

(ტელევიზორიდან ხარხარი ისმის)

თარაში - (ხმამაღლა იცინის) ახლა კი გამექეცი, ლია, მაგრამ სად წამიხვალ? მოსამსახურე ხარ, უბრალო მოსამსახურე, მე კი დიდგვაროვანი, მდიდარი კაცი ვარ. მაინც ჩემი გახდები, გლეხის გოგოვ!

(ტელევიზორში ფსევდოტრაგიკული მუსიკა ისმის)

ქეთინო – (სულიკოს, რომელსაც მისი არ ესმის) სულიკო, შეხედე, შეხედე, სულიკო... როგორ გაექცა? არ გეყურება? დაგეძინა სულიკო?

მურმანი – (სულიკოს) არც შენ შეცვლილხარ, სულიკო.

სულიკო – რას აკეთებ, ბიჭო? გაგიჟდება ქეთინო, რომ დაგინახოს.
 მურმანი – ქეთინო ვერ გვხედავს, მკვდრები ვართ ჩვენ უკვე.
 სულიკო – მკვდარიც ხარ და დამარხულიც. რა გინდა ჩემგან? რატომ მოხვედი?
 მურმანი – უნდა წაგიყვანო, სულიკო.
 სულიკო – სად უნდა წამიყვანო, თუ იცი?
 ქეთინო - სულიკო, არ გეყურება? დაწე ქალო, თუ გემინება.
 (საყვედურით) არ იცოდი შენ ასე?!

მურმანი - ვერ მხედავს შენი ქეთინო. ვერც მე და ვერც შენ.
 სულიკო - რავა, გავქრი, თუ?
 მურმანი - არა, არ გაქრი, მარა, არ იცის ჯერ, რომ მოკვდი, შე ბედნიერო. მაგას გონია, რომ გმინავს.
 სულიკო - რასაა რომ მეუბნები? არ მჯერა მე მაგის. მძინავს და მესიზმრები.
 მურმანი - თუ არ გჯერა, იჩქმიტე ხელზე და ნახავ.
 სულიკო - (პაუზის შემდეგ) მტკივა, მარა არ მეღვიძება.
 მურმანი - გითხარი?
 სულიკო - (საკუთარ თავს შემოუძახებს) რამ დამამინა ასე? გაიღვიძე სულიკო, გაიღვიძე, ქალო!
 მურმანი - მოკვდი-თქვა და ნუ ყვირიხარ, თუ ქალი ხარ!
 სულიკო - ადრეც დამსიზმრებია, მარა, ასე ცხადად არასდროს.
 მურმანი – გამომავზავნა მიქელმა, მოვიდა მაგის დრო და მომიყვანეო.
 სულიკო – რავა? ასე ხდება ეს ამბავი?
 მურმანი – კი, ასე ხდება. მე რო მოკვდი, მამაჩემი მოვიდა ჩემს წასაყვანად.
 სულიკო – რავაა მამაშენი?
 მურმანი – არის კარგად, რა უშავს. წამოდი ახლა და აგიხსნი გზაში ყველაფერს.
 სულიკო – კი მაგრამ, სტუმარი მყავს სახლში, რა ვუყო ქეთინოს?
 მურმანი – წამოდი და აწი აქ რაც მოხდება, აღარაა შენი დარდი.
 (სულიკო ფრთხილად დგება. სკამის ჭრიალი ისმის)

სულიკო - მიჭირს უკვე ადგომა. ხედავ?
 მურმანი - დამიბერდი ცოტა?
 სულიკო – აღარ მოგწონვარ?
 მურმანი – მომენატრე ქალო. მაკლდი ძალიან. ყველას ცოლი იქ არის უკვე და ვიყავი ასე მარტო.
 სულიკო – რავა, ქეთინო ხომაა აქ?
 მურმანი – კი არის, მარა...
 სულიკო – რავა, შენი მშობლები არ არიან იქ?
 მურმანი – კი არიან, მაგრამ შენ მინდოდა ყოფილიყავი.
 სულიკო – გინდოდა და ა-ა, კი მიგყავარ.
 მურმანი – მთავარია, არ შეგეშინდეს. შენ გვერდით ვარ იცოდე.
 სულიკო - რავა, მურმან, არ დამიმალო!
 მურმანი - რა იყო, სულიკო?

სულიკო - მართლა მოგვკვდი?
მურმანი - მოკვდი, ნამდვილად.
სულიკო - ასეთი ყოფილა სიკვდილი?
მურმანი - რა გეგონა, აბა შენ?
სულიკო - რა ვიცი... რა ვიცი...

(ცოლ-ქმარი ნელი ნაბიჯით კარისაკენ მიდიან. ტელევიზორიდან ფსევდოდრამატული მუსიკა ისმის. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჩერდებიან)

სულიკო - ქეთინო, ქეთინო, გესმის გოგო?

(ქეთინოს, რა თქმა უნდა, არ ესმის. ტელევიზორსაა მიჩერებული. და არა იმიტომ, რომ იქ ძალიან საინტერესო გადაცემაა. უბრალოდ, ქეთინოს გარდაცვლილების არ ესმის, ამიტომაც არ პასუხობს)

მურმანი - რავა მაკლდი, რო იცოდე.

სულიკო - კი მარა, გეცლია ცოტა ხანს, ბიჭი დაამთავრებდა ინსტიტუტს და მოგეკალი მერე. მართო ჩემი შვილიშვილია ეგ?

მურმანი - მკვლელი კი არ ვარ, შე ქალო! მე გზამკვლევი ვარ.

სულიკო - ასე უცებ, არც გამაფრთხილე, არც მომწერე. დაგერეკა მაინც, ან მეზობლის პირით შემოგეთვალა!

მურმანი - საიდან დამერეკა, საიქიოდან?

სულიკო - რა, არ შეძლება, თუ? აბა, ასე რომ მიგყავარ, ჩავალაგებდი რამეს. წამოვიღებდი სათვალეს, ჟაკეტს, რა ვიცი, რა დამჭირდება იქ.

მურმანი - არ შეცვლილხარ, იცოდე. მიყვარხარ ისევ.

სულიკო - (კეკლუცად, ნახევრად სიცილით) კაი, ნუ იცი შენ უადგილოდ ყველაფერი.

(სულიკო ცაბურია თხუთმეტი წლის მკვდარ ქმარს მორჩილად მიჰყვება. კარი ჭრიალით იღება. ოთახიდან გადიან. კარი იხურება. ქეთინო, რა თქმა უნდა, ვერ ამჩნევს მურმან და სულიკო ცაბურიების გასვლას. ორმა სულმა ხის ვერანდა გაიარა, შემდეგ კიბეებზე ჩავიდა. ნაბიჯებმა ეზოს ბალახი ააშრიალა. კვლავ იმატა შორიახლოს მოჩუხჩუხე მდინარის ხმამ. ჭრიჭინები კანტიკუნტად ჭრიჭინებენ. სადღაც ძალღმა დაიწყო ყეფა).

სურათი მეორე
გზად სოფლისაკენ

ავტომობილის ხმა გვიახლოვდება. მანქანაში სულიკო ცაბურიას შვილი ალჟირ ცაბურია და შვილიშვილი გივიკო ცაბურია სხედან. მანქანაში რადიოა ჩართული, რომელიც დაბალ ხმაზე საინფორმაციო გამოშვებას გადმოსცემს. დიდსულოვანი ავტორის ნებართვით, რეჟისორს შეუძლია, რადიოს საინფორმაციო გამოშვების ტექსტი იმის მიხედვით შეცვალოს, თუ რა მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება იმ დროს რეჟისორის სამშობლოში ან მსოფლიოში. თუმცა, ფრთხილად! რადგან ახალი ამბები ისევე სწარაფად ძველდება, როგორც იბადება. მარადიული მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტია. ამიტომ, ჩვენს შემთხვევაში მამა-შვილი რადიოში ახლო აღმოსავლეთის ამბებს უსმენენ.

ქალის ხმა რადიოდან - “რუსეთ-პალესტინის მოლაპარაკებების მთავარ თემად ორმხრივი ურთიერთობა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების გზები სახელდება. რუსეთის პრეზიდენტის პრეს-სპიკერის თქმით, ძირითადად საქმე ეხება ღაზას სექტორში შექმნილ სიტუაციას. მან განაცხადა - ციტატა: ჩვენთვის მნიშვნელოვანია “სექსტეტის“ მუშაობის გაგრძელება. ჩვენ გვსურდა, დაგვეჩქარებინა კრების მოწვევა, რომელშიც არაბულ სახელმწიფოთაგან...” (რადიო მიმღებს ხმა ეწევა. ახლა მხოლოდ მანქანის ძრავის და სალონში შემოდგენილი შემხვედრი მაქანების ხმა გვესმის)

ალჟირი - დავრჩი ობლად, შვილო.

გივიკო - საწყალი ბებია. წინა კვირას ველაპარაკე. დამირეკა და, მენატრებო, მითხრა. ჩემი ბებია...

ალჟირი - ასე უცებ, კაცო... კარგად იყო, არც გული აწუხებდა, არც სახსრები... (პაუზის შემდეგ) არა, არ მინდა ქალაქშიო, არ გახსოვს, რო მეუბნებოდა? სოფელში დავიბადე და აქ უნდა მოვკვდეო.

გივიკო - რამდენი წლის იყო ბებიაჩემი?

ალჟირი - სამოცდათვრამეტის.

გივიკო - წინა კვირას დამირეკა...

ალჟირი - (აწყვეტინებს) სულ ასე მეუბნებოდა. რამდენი უთხარი, წამოდი, იცხოვრე, მოგივლი... მარა - არა!

გივიკო - რა ჭირდა მოსავლელი. კარგად იყო.

ალჟირი - გიჟდებოდა შენზე. ერთი სული ჰქონდა, უნივერსიტეტი დაგემთავრებინა და ჩასულიყავი. ვერ მოესწრო შენს დიპლომს. საწყალი დედაჩემი...

გივიკო - ჰო, გადარეული იყო ჩემს დიპლომზე. თითქოს დიპლომშია საქმე მარტო.

ალჟირი - ამაყობდა შენით. ქეთინომ რომ დამირეკა, გამიცვივდა გული. ხმა ქონდა ისეთი...

გივიკო - (პაუზის შემდეგ) რომელი საათია?

ალჟირი - ჩავალთ მალე. დაიძინე, თუ გეძინება.

გივიკო - თენდება უკვე. რა დროს ძილია.

ალჟირი - საქმეები გვაქ გასაკეთებელი. არ დაგავიწყდეს, სასაფლაოზე ხარ გასასვლელი, მესაფლავა შავი კაცი ერთი, თუ კიდე ცოცხალი, იმასთანაა მისასვლელი, საფლავი გაამზადოს... ვაი დედაჩემო...

გივიკო - მანამდე ცნობაა ასაღები.

ალჟირი - ჰო, ცნობა ადმინისტრაციიდან, მარა ცნობას უცებ მოგვცემენ, საფლავია გასათხრელი.

გივიკო - მივალ, ნუ ღელავ.

ალჟირი - ვაი, დედაჩემო...

გივიკო - გინდა, დავჯდე საჭესთან?

ალჟირი - არა, ჩავალთ მალე. (თითქოს, უცებ გაახსენდა. წამოიყვირებს) სუფრა! სუფრის გაშლა, ორგანიზება უნდა, ვის ვთხოვოთ?

გივიკო - შენ თუ გახსოვს, ბაბუაჩემის დასაფლავებაზე, ის კაცი როა ერთი, სათბურთან რომ ცხოვრობს, იმას მივეცი ფული და გააკეთა ყველაფერი.

ალჟირი - მამაჩემი თხუთმეტი წელია მოკვდა, შე კაცო. ან იქნება ცოცხალი ახლა ის კაცი, ან არა.

გივიკო - მამა, ყველა ხო არ მოკვდებოდა იმ სოფელში? იქნება ვინმე.

ალჟირი - ჰო, იქნება ვინმე... მთავარია, არ გამოგვრჩეს ვინმეს დაპატიჟება. ქელები სოფელში... ხო იცი, მერე, თუ შევრცხვით, სულ ამაზე ილაპარაკებენ. რა აქვთ მეტი საქმე.

გივიკო - არ გამოგვრჩება. მოვა ყველა.

ალჟირი - უყვარდათ ბებიაშენი. ბაბუაშენიც უყვარდათ სოფელში. კაი კაცი იყო და კაი სახელი დატოვა, რომ იცოდე. დაიმახსოვრე ეს და მიბამე! კი მოკვდა თხუთმეტი წლის წინ, მარა გახსოვს კარგად და მისგან უნდა აიღო მაგალითი. ბაბუაშენი რომ იტყოდა სიტყვას, მთელი სოფელი ფეხზე იდგა. შენ კიდე, ამდენი ხანია, სამსახური ვერ გიმოვია.

გივიკო - მამა!

ალჟირი - რა მამა! სწავლით არ იკლავდე თავს. შენი ტოლი ბიჭები მუშაობენ ყველანი. (პაუზის შემდეგ) დედაჩემო, ვაი დედაჩემო... (პაუზის შემდეგ) ქეთინომ რომ დამირეკა, მივხვდი, რაღაც მოხდა. მარა, რას ვიფიქრებდი, ასე უცებ თუ წავიდოდა ამ ქვეყნიდან. არ ჭირდა არაფერი, არც გული აწუხებდა, არც სახსრები...

გივიკო - (დაიყვირებს) ფრთხილად!

(მოკლე მუხრუჭის ხმა. შემხვედრი მანქანა ახლოს ჩაიქროლებს)

ალჟირი - უხ შენი, სად მოდიხარ!

გივიკო - მაგის რა ბრალია, გადახვედი მის გზაზე.

ალჟირი - სერიალს უყურებდნენ თურმე. დედაჩემი და ქეთინო დებივით იყვნენ. ერთ დღეს დაიბადნენ და იმის მერე სულ ერთად არიან. ერთ დღეს ჰქონდათ ქორწილი. მე რო გავჩნდი, ქეთინოს შვილიც იმავე დღეს გაჩნდა. მამაჩემი რომ მოკვდა, ქეთინოს ქმარი რამდენიმე დღეში მოკვდა. იმის მერე არიან ასე...

გივიკო - ისე არ ქნა, რომ ჩავალთ, ქეთინოც მკვდარი დაგვხვდეს.

ალჟირი - გაჩერდი, თუ კაცი ხარ.

გივიკო - კაი ქალია ქეთინო.

ალჟირი - სერიალს ვუყურებდითო, მეგონა ჩაეძინაო, მარა არ იცოდა ტელევიზორის წინ ძილიო. ელოდებოდა თურმე მთელი დღე მაგ სერიალს. რო

დაეძინა, კი გამიკვირდაო, შევძახე, სულიკო გაიღვიძე გოგოო, მარა, რო არ გამომხედა, ვიფიქრე, დაიღალა და ეძინოსო. მარა, რო დამთავრდა სერიალი და რო არ გაინძრაო და რო ვაპირებდი წასვლასო, ე-ე, კი მიმხვდარა თურმე. და დარეკა... ვაი, დედაჩემო...

გივიკო - ჩავრთავ რადიოს.

(მანქანის რადიო ირთვება)

ხმა რადიოდან - “ინგლისში მყოფი პალესტინის ლიდერი ასევე შეხვდა ინგლისის პრემიერს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად დრო იჭურება.“

ავტომანქანის ჩავლის ხმა, რომელიც ნელ-ნელა გვშორდება.

სურათი მესამე
აუდიენცია

სასუფეველი. მაღალტექნოლოგიური აპარატურით გაწყობილი სივრცე, სადაც ერთმანეთში ირევა არაამქვეყნიური ბგერები. ეს ხმები ნანოტექნოლოგიებით აღჭურვილ სამსჯავროს მისაღებში ისმის.

(კარზე კაკუნის ხმა)

მიქელი - (მისი ხმა კარს მიღმა ისმის. გაღიზიანებული ტონით) - ვინ არის!

(კარი ჭრიალით იღება)

მურმანი - ბატონო მიქელ, მე ვარ, მურმან ცაბურია.

მიქელი - რა ჯანდაბა გინდა!

მურმანი - რას კადრულობთ, ბატონო. რას ქვია ჯანდაბა?

მიქელი - (ცხვირს მოიხოცავს) რა გინდა, უცებ მითხარი.

მურმანი - რავარც მთხოვეთ, ბატონო მიქელ, ისე აღვასრულე დანაბარები.

მიქელი - რა გთხოვე, აღარ იტყვი, წარწყმედილო?

მურმანი - რატო ვარ ბატონო, წარწყმედილი?

მიქელი - (ღრიალით) თქვი, თორემ გაგიშვებ ჯოჯოხეთში!

სულიკო - (შეშინებული) ვინ არის, მურმან ეს კაცი! რასაა, რომ კადრულობს?

მურმანი - გაჩუმდი, ქალო. მიქელია, საიქიოს გამგებელი.

მიქელი - (ყვირილით) ლუბა, საქალაქადე მომიტანე. დაეკიდა ეს კომპიუტერი ისევ! (ხმამაღლა ცხვირს დააცემინებს)

მურმანი - ბატონო მიქელ, რავარც დამაბარეთ, მოვიყვანე ჩემი ცოლი.

მიქელი - რატომ მოიყვანე?

მურმანი - ხომ მითხარით, ბატონო, დადგა ჟამიო და მომიყვანეო და მოვიყვანე.

მიქელი - გვარი შემახსენე. (ცხვირს მოიხოცავს)

მურმანი - სულიკო ცაბურია, ბატონო.

მიქელი - (ყვირილით) ლუბაა!

სულიკო - (შეშინებული, ჩურჩულით) მურმან, არ მომწონს მე ეს კაცი.

მიქელი - (უფრო თავისთვის) კომპიუტერი დაეკიდა.

სულიკო - (შეშინებული) წამიყვანე აქედან.

მურმანი - გაჩუმდი, ქალო!

მიქელი - რა ვქნა? ვერ აღვრიცხავ ვერაფერს. მთელი ფაილები აქ მაქვს. რაც ამ კომპიუტერებზე გადავედი, მას შემდეგ აირია ყველაფერი. გვარი შემახსენე?

მურმანი - ცაბურია. სულიკო ცაბურია.

მიქელი - შემოდით, რას დგახართ კარში. ორპირია ისედაც.

(კარის დაკეტვის ხმა)

სულიკო - შეცდომა ხომ არ არის რამე? (სულელურად გაიცინებს) ეჰე, ჰე...

მიქელი - (ცხვირს მოიხოცავს) გავცივდი. კონდენციონერის ბრალია. ზურგში მიბერავს. არა და, რა გინდა? რომ გამორთო, დაიწვები სიცხისგან.

მურმანი - მართალი ბრძანდებით.

სულიკო - ეგება და, დამაბრუნოთ უკან?

მიქელი - უკან მოგიწევთ დაბრუნება, ქალბატონო სულიკო, მაგრამ დროებით. არ აუხსენი გზაში?

მურმანი - ვერ მოვასწარი, ბატონო მიქელ.

მიქელი - რას აკეთებდით, აბა?

მურმანი - თხუთმეტი წელია არ მინახავს, და...

მიქელი - ვერ მითხარი მერე? დავაჩქარებდით გარდაცვალებას.

სულიკო - არა, ბატონო, არ მეჩქარებოდა არსად. მე თუ მკითხავთ, ახლაც ჩქარობთ.

მიქელი - თავიდან ყველას ეშინია, მერე წასვლა არ უნდათ უკან. თქვენც ასე იქნებით. (ცხვირს დააცემინებს) აი, დავამტკიცე!

მურმანი - სიცოცხლე, ბატონო მიქელ.

მიქელი - მკვდარს სიკვდილს უსურვებენ, ბრიყვო.

მურმანი - ნამდვილად. შემდეგში გავითვალისწინებ.

მიქელი - დასხედით. (ცხვირს მოიხოცავს) ამ სიცხეში გაციება იქნებოდა?

მურმანი - (თანაგრძნობით) აბა, აბა...

სულიკო - ბატონო მიქელ, ჩემი შვილიშვილი, გივიკო ცაბურია, წელს ინსტიტუტს ამთავრებს... და რა ვიცი... ეგება და არ მომკლათ და მომასწროთ მაგის დიპლომს.

მიქელი - კომპიუტერი რომ მქონდეს, შევამოწმებდი, მაგრამ არ ირთვება. დღეს სამჯერ წავიდა დენი და აერია ტვინი.

სულიკო - რას შეამოწმებდით?

მურმანი - შეამოწმებდა, როდის უწევს...

მიქელი - თუმცა, ჩვენ შეგვიძლია დავაჩქაროთ...

სულიკო - (კვილით) აჰა-ჰა! რასაა რომ მეუბნებით! ღმერთო, არ მომასწრო, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი შვილიშვილი გივიკო ცაბურია ყოველივე ცუდისგან და მიეცი მაგას და მაგის ოჯახს ბედნიერება და სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე. რასაა, რომ მეკითხებით!?

მურმანი - გაჩუმდი!

მიქელი - დამშვიდდით, ქალბატონო სულიკო, ნუ ღელავთ. არაფერი არ მოუვა თქვენს შვილიშვილს.

სულიკო - რა დამამშვიდებს, ბატონო!

მიქელი - გადარჩა.

სულიკო - რას გადარჩა?

მიქელი - მანქანაშია ახლა და გადარჩა სიკვდილს. ნუ ღელავთ.

სულიკო - ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე.

მურმანი - დამშვიდდი ქალო. სასუფეველში ხარ, ბაზრობაზე კი არა.

სულიკო - ვერ გცნობ, მურმან! ჩვენს შვილიშვილზე მელაპარაკება ეს კაცი!
მიქელი - (ცხვირს დააცემინებს) მოყევით, ქალბატონო სულიკო, როგორ მოხდა
თქვენი გარდაცვალება.

მურმანი - მოუყევი.

სულიკო - ვიყავი ბატონო ჩემთვის, ვუყურებდი ტელევიზორს, სერიალია
ნამეტანი კარგი, ტელევიზორში, არ ვიცი, იცით თუ არა - „ვარდის ფურცელი“ ქვია,
ნამეტანი კაი გოგოა იქ ერთი, ღია, მოსამსახურეა და უვლის მოხუცებულ
ქალბატონს. დარბაისელი ქალბატონია და უვლის იმას, მარა რად გინდა. გადაეკიდა
მისი შვილი ამ საწყალ ღიას და მოსვენებას არ აძლევს. გინდა თუ არა...

მურმანი - (აწყვეტინებს) სერიალს ყვები ქალო? მიქელთან?!

სულიკო - უჰ, უკაცრავად...

მიქელი - შემდეგ?

სულიკო - შემდეგ, ბატონო ჩემო და გინდა თუ არა, უნდა დამნებდეთ და
ეჭიდავება ამ საწყალ გოგოს და არის ერთი ამბავი და გაწევ-გამოწევა, პატიოსანი
გოგოა ღია ნამეტანი და...

(მიქელი ხმამაღლა ცხვირს დააცემინებს. სულიკო ჩუმდება)

მიქელი - ახლა დააბრუნეთ ეს ქალბატონი უკან, ჩაატაროს პანაშვილები და
დასაფლავება და მოდით მერე. ვერ ვარ კარგად, რაღაც...

მურმანი - კი, ბატონო.

მიქელი - აუხსენი, გზაში როგორ მოიქცეს.

მურმანი - კი, ბატონო.

მიქელი - როდის მოხვალთ? ზეგ?

მურმანი - ზეგ რავა გეკადრებათ, ბატონო! გადამთიელები კი არ ვართ! ერთ
კვირაში.

მიქელი - მომკლავთ მე ეს ქართველები! ერთი კვირა უნდა გააჩეროთ მკვდარი
სახლში?

მურმანი - ასეთი გვაქ წესი, ბატონო.

მიქელი - არ გამოვა!

მურმანი - რავარც მეტყვით, მარა ცოცხლებს გააგებინებთ რამეს?

მიქელი - ხუთი დღე და გადავკოცნეთ ერთმანეთი. წადით ახლა.

(სასუფეველში დენი მიდის, ჩვენ ამას კომპიუტერის კვების ბლოკის (ე.წ.ups)
წუილით ვხვდებით. წუ... წუ...წუ...)

გულიკო - ავარიაა?

მიქელი - დენი წავიდა დღეს უკვე, მეოთხედ. (ცხვირს დააცემინებს)

მურმანი - სიკვდილი, ბატონო!

სურათი მეოთხე
პანაშვიდი

სამგლოვიარო მუსიკა ისმის.

ქეთინო - ჩამოხვედით... ვაი, ამ დღეს არ მომასწრო...

ალჟირი - (ქვითინით) ქეთინო დეიდა, დავობლდი...

ქეთინო - ალჟირ, რო იცოდე, როგორ დამიწვა გული დედაშენის წასვლამ!

მოდი გადაგეხვიო, მოგისამძიმრო...

ალჟირი - მადლობა, ქალბატონო ქეთინო...

ქეთინო - გივიკო, ჩამოხვედი, შვილო? როგორ უყვარდი ბებიაშენს. მოდი, მოდი შენც ჩაგიკრა გულში...

გივიკო - მადლობა, ქეთინო დეიდა.

ქეთინო - ხელში ჩამაკვდა ეს უბედური...

ალჟირი - აბა, აბა...

ქეთინო - რას წარმოვიდგენდი, ჩემზე ადრე რომ მოკვდებოდა. არაფერი არ აწუხებდა, ამ საწყალს...

ალჟირი - არაფერი... (ქვითინებს) დედა, დედიკო...

ქეთინო - აი, წევს ასე კუბოში, გაპატიოსნებული და გალამაზებული...

(ტირილს იწყებს)

გივიკო - ნუ ტირით, ქეთინო დეიდა...

ქეთინო - რაღა ნუ ვტირი, შვილო! შენ დიპლომს ელოდებოდა და ვერ მოესწრო ეს საწყალი...

გივიკო - დავამთავრებ წელს და ჩამოვუტან...

ალჟირი - ჩამოუტანე, მამა, ჩამოუტანე... გაუხარდება... მიუვა...

ქეთინო - ზეცაშია ჩვენი სულიკო ცაბურია. ეს მამშვიდებს მხოლოდ, რომ ღმერთთან არის და თავის ქმარს შეხვდება... ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე...

ალჟირი - ეჰ, მამაჩემო... ეჰ, დედაჩემო...

ქეთინო - ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე...

(კარზე კაკუნის ხმა ისმის)

ქეთინო - მომიკვდეს თავი, კარებს ვინ კეტავს ჭირისუფლის სახლში. მობრანდით ბატონო...

(კარის გაღების ხმა)

ოპერატორი - ვიზიარებ მწუხარებასა შინა, ვიზიარებ, ბატონო ალჟირ, უდიდეს ტრაგედიას, ვტირი და ვტირი, რაც ეს ამბავი გავიგე.

ალჟირი – მადლობელი ვარ, ბატონო ჩემო. შემობრძანდით.

ქეთინო – ეს კაცი, ტელევიზორიდან არის მოსული, საქმე აქვთ თქვენთან.

ალჟირი – ბოდიში?

ქეთინო – ადგილობრივი ტელევიზორიდან არის. ორი წუთის საქმე აქვს.

ალჟირი – რა უნდა ჩემგან?

ოპერატორი – მონაწილე ვარ ამ დარდის, თქვენს თავს რომ ადგას.

მე ჟურნალისტი ვარ, პარალელურად ოპერატორად ვმუშაობ ადგილობრივ ტელევიზიაში. მოგეხსენებათ, ჩვენი მთავრობის ხელში, რა დღეშია თავისუფალი მედია. ძალიან დიდი ზეწოლაა ჩვენზე. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდება ჩვენთან. რეკლამა არ მოაქვთ, ყველაფერი ცენტრალურ არხებზე მიდის... აბა, მიუსამძიმრებ გივიკოს. ვიზიარებ, ბიძიკო...

გივიკო - გმადლობთ... სასიამოვნოა...

ოპერატორი - ასეთ დღეში ჩაგვადო მთავრობამ. ორი საქმის ერთად კეთება მიწევს. ხელფასები დაბალია, მკვდრის გადაღება კიდევ უფასოდ არავის უნდა.

ალჟირი - (გაღიაზიანებული. აწყვეტინებს) კი ბატონო, მადლობელი ვარ.

ოპერატორი - ბატონო ალჟირ, სიუჟეტი გვინდა გავაკეთოთ დედათქვენზე.

ალჟირი – მადლობა, მარა, რა საჭიროა სიუჟეტი?

ოპერატორი - მართალია, დედათქვენს, ქალბატონ სულიკოს ყველა იცნობდა, უყვარდათ ძალიან სოფელში, მაგრამ ეს მწუხარება არ შეუტყვია ყველას ჯერ კიდევ.

გივიკო – რა უნდათ, მამა?

ალჟირი – სიუჟეტი უნდა გააკეთონ ბებამენზე.

გივიკო – მკვდარზე ვინ აკეთებს სიუჟეტს?

ოპერატორი - ნუ გაგიკვირდებათ. ჩვენთან ასეთი წესია. ადგილობრივი არხია, სადამოს ყველა მაგას უყურებს, გაიგებს მთელი სოფელი, რაიონი... აბა, ისე არ შეიძლება. რომ გამოგრჩეთ ვინმე ახლობელი გაუფრთხილებელი, მოგვეჭრება თავი.

გივიკო - სიუჟეტი თუ ნეკროლოგი?

ოპერატორი - (შეიცხადებს) აჰ, ნეკროლოგი რა საკადრისია! ნეკროლოგი გაზეთში, სიუჟეტი - ტელევიზორში.

ალჟირი – მაშინ, სიუჟეტი იყოს.

ქეთინო - (საუბარში მორიდებით ერთვება) ჩვენ კი ვიცით, რომ დედაქალაქში სხვა წესია და მიცვალებულზე სიუჟეტს არ აკეთებენ, მარა აქ, ჩვენთან, სოფლად ასე იციან.

ოპერატორი - გაიგებს ყველა და მოგისამძიმრებს.

ალჟირი – თუ ასეთი წესია...

ოპერატორი - კი ბატონო, ასეთი წესია, წუხილს ტირილი უხდება, ტირილს კიდევ ხალხი უნდა.

გივიკო – ტირილს ხალხი უნდა?

ალჟირი – კი ბატონო, გავაკეთოთ. რამდენი იქნება საჭირო ამ სიუჟეტისთვის?

ოპერატორი - (კვილით) ფული არ გამაგონოთ, იცოდეთ!

ალჟირი – (შემინებული) კი ბატონო, კი ბატონო, არ გაგაგონებთ, მაგრამ ქელეხზე მაინც მოზრძანდით, იცოდეთ, უარი არ მითხრათ.

ოპერატორი - ფული რა საკადრისია. მაგი მეორედ არ გამაგონოთ. ისე მიყვარდა დედათქვენი, მაგი მეორედ არ მითხრათ, თორემ მეწყინება იცოდეთ! აჰ, ქელეხზე მოვალ აუცილებლად.

ქეთინო - (ჩურჩულით) მე გეტყვი მერე, როგორ კეთდება ეგ.

ოპერატორი - მაშ, დავიწყეთ. მე ახლა დედათქვენს გავესაუბრები, რომ კადრში „ჩავხატო“, თქვენ არ გაიკვიროთ.

ალჟირი - დამცინით?

ოპერატორი - რავა გეკადრებათ, ბატონო ალჟირ. დაცინვა რას მიქვია.

ქეთინო - (ჩურჩულით) ჩემო ალჟირ, ეს ოპერატორი ცოტა უცნაური კაცია. მაგაზე ამბობენ, მიცვალებულებს ხედავს და ელაპარაკებაო. მაგას თურმე ისეთი კამერა აქვს, რომ ჩაიხედავს იმ კამერაში, მიცვალებული ცოცხლად ჩანს.

(ნიშნისმოგებით) აბა?.. ასეა ნამდვილად. მაგის გაკეთებულ სიუჟეტებზე მთელი რაიონი ლაპარაკობს ხოლმე. ვადროვოთ, იცის თავის საქმე.

ოპერატორი - (ხმამალლა) გთხოვთ, დამსწრე საზოგადოებას, ხელს ნუ შემშიშლით. ვიწყებ მუშაობას!

(სამარისებური სიჩუმე. მომდევნო დიალოგი გარდაცვლილ სულიკო ცაბურიასა და ცოცხალ ოპერატორს შორის უნდა შედგეს. ამიტომ მისტიური და იდუმალი მუსიკის ფონზე ორივე პერსონაჟის ხმას ექოს ეფექტი ადევს)

სულიკო – რას შვები? უნდა გადამიღო?

ოპერატორი – აუცილებლად, ქალბატონო სულიკო.

სულიკო - ხელში რა გიჭირავს?

ოპერატორი - ეს ვიდუოკამერაა. თქვენზე სიუჟეტს ვიღებ, შემდეგ ტელევიზიით გავუშვებ.

სულიკო - ასე ხდება თურმე ეს ამბავი?

ოპერატორი - ნამდვილად.

სულიკო - ასე გადაულე ლუბასაც?

ოპერატორი - ჭეშმარიტად.

სულიკო - მართო შენ ხედავ მკვდრებს?

ოპერატორი - ამ კამერის საშუალებით ვხედავ. აი, აქ ვიყურები და თქვენ ცოცხალივით ჩანხართ.

სულიკო - კაი მაშინ. ჩემი ქმარი წასულია და მოვა სალამოს.

ოპერატორი - თქვენი ქმარი თხუთმეტი წლის წინ გადავიღე უკვე. რომ გეტყვით, დავიწყეთო, ხელს დაგიქნევთ, თქვენ მოგიახლოვდებით და კუბოდან უნდა ადგეთ...

სულიკო – (აწყვეტინებს) რავა, სულ ავდგე?

ოპერატორი – არა, წამოიწიეთ და ხელს რომ დაგიქნევთ, თქვით შემდეგი სიტყვები...

სულიკო – არ გადმოვიდე? აქ ვიჯდე?

ოპერატორი – კი მანდ იჯექით, წამოიმართებით, ჯერ იწვებით, მერე ხელს რო დაგიქნევთ წამოიმართებით და იტყვით...

სულიკო – (კვლავ აწყვეტინებს) უხერხული არ იქნება, რაღაც?

ოპერატორი – რატო იქნება უხერხული? მკვდარი ხართ, წამოიწევით და იტყვიტ...

სულიკო – (კვლავ აწყვეტინებს) აბა, ლუბა რო იდგა შარშან?

ოპერატორი – იმიტომ, რომ ლუბას წელი ტკიოდა და ვერ ჯდებოდა.

სულიკო – (ჩაფიქრებული) მე მეგონა, რომ მოკვდებოდი, არაფერი აგტკივდებოდა...

ოპერატორი – მასე რომ იყოს ქალბატონო სულიკო, ვინდა დარჩებოდა ცოცხალი.

სულიკო – (გაბრაზებული) რავა, ლუბა უნდა მდგარიყო და მე ასე დამჯდარმა ვილაპარაკო?

ოპერატორი – ქალბატონო სულიკო, ასეთია წესი, ასე უფრო ეფექტურია! წარმოიდგინეთ, კადრი... ხალხი ტირის, გოდებაა, ხმაურია და უცებ მიწყნარდება ყველაფერი, კამერა კუბოს უახლოვდება და ხელს დაგიქნევთ. თქვენ წამოიმართებით კუბოდან და აი, აქ, პირდაპირ ობიექტივში იტყვიტ: მე ვარ სულიკო ცაბურია, მე პატიოსნად ვიცხოვრე და მოვკვდი. მე ალალი ქალი ვიყავი და ჩემი სახელი სამარადჟამოდ დარჩება ჩემს გვარში და გენში. გაუმარჯოს საქართველოს.

სულიკო – სტუმრებს ვეპატიუები და ასე დამჯდარი დავხვდე?

ოპერატორი – დამიჯერეთ, ქალბატონო სულიკო, მეტი ხალხი მოვა.

სულიკო – არ მჯერა.

ოპერატორი – ხომ იყავით ლუბას დაკრძალვაზე? იყო ხალხი? გაიხსენეთ?

სულიკო – არ იყო, იმიტომ, რომ არ იყო კაი ქალი ლუბა.

ოპერატორი – და ნატაშა კაპაია? მაგის დასაფლავებაზე რატომ გაივსო ეზო?

სულიკო – (ეჭვით) ასე, დამჯდარმა?

ოპერატორი – შემდეგ იტყვიტ, ჩემი პანაშვიდებია ოცდახუთში, ოცდაექვსში, ოცდაშვიდში, ოცდარვაში, ოცდაცხრაში და დასაფლავება - ოცდაათ აგვისტოს. მოდით და გამაცილეთ. გამიხარდება.

სულიკო – კი, კი, გამიხარდება ნამდვილად. მარა მიქელმა ხუთი დღე მომცა მარტო.

ოპერატორი – აუჰ! რას მელაპარაკებით?

სულიკო – (შეწუხებული) აპა...

ოპერატორი – ვის გაუგია, ხუთ დღეში მიცვალებულის მიბარება?

სულიკო – რა ვიცი, მეც მასე ვუთხარი, მარა... კომპიუტერი გამიფუჭდაო და...

ოპერატორი – კაი, მაშინ თქვით, ჩემი პანაშვიდებია ოცდახუთში, ოცდაექვსში, ოცდაშვიდში, ოცდარვაში და დასაფლავება ოცდაცხრა აგვისტოს. მოდით და გამაცილეთ. გამიხარდება.

სულიკო – კი ბატონო, რავარც მეტყვიტ.

ოპერატორი – (სულიკოს) აბა, დაწექით ქალბატონო სულიკო... (მცირე პაუზის შემდეგ ისმის ვიდეოკამერის ღილაკზე დაჭერის სპეციფიური ხმა - წწკ) ყურადღებით, ვიწყებთ!

(მუსიკის ჰანგები მატულობს)

სულიკო - (დაბნეული) არც კი ვიცი, რითი დავიწყო. მოვკდი აგერ და ვწევარ კუბოში...

სურათი მეხუთე
ლაბადა და ფეხსაცმელი

საღამოა. შორიდან ჭრიჭინების ჭრიჭინი ისმის. კუბოში სულიკო ცაბურიას სძინავს. სულიკო ხვრინავს და მის ხმას, როგორც ყველა გარდაცვლილის ხმას, ექო ადევს. ეზოდან ძაღლის ყეფა ისმის. ალჟირ ცაბურია და მისი ვაჟი გივიკო ცაბურია სხედან. სვამენ. ჭიქას ჭიქაზე მიუჭახუნებენ.

ალჟირი – მოდი, ხსოვნა იყოს დედაჩემის. (სვამს)
გივიკო – ნათელში ამყოფოს ბებიაჩემი.
ალჟირი – ისე, მეტი ყურადღება კი უნდა მიგექცია ბებიაშენისთვის.
ბებია გაგზარდა.

(ჭიქებს მაგიდაზე დგამენ)

გივიკო – მართლი ხარ.
ალჟირი – დარჩები შენც ობოლი და ნახავ მერე, რა არის მშობლების ფასი.
გივიკო - დედამ დარეკა საბერძნეთიდან, ვერ ჩამოვდივარო. ბილეთი ძვირი ღირსო. არ მიშვებენ სამსახურიდანო... ყველაფერი გაძვირდაო, ომონიაზე მიტინგიაო, რომ გაიგონ, არალეგალი ვარ, უკან აღარ შემიშვებენო, ისეთი კარგი ოჯახი შემხვდა, კარგად მექცევიანო, მარაო, ბილეთი ძალიან ძვირი ღირსო, სკაიპით დაველაპარაკები მამაშენსო...

ალჟირი - სად ვიპოვო ამ სოფელში სკაიპი?
გივიკო - ძალიან ძვირი ღირს მგზავრობაო... მომენატრეთო, შემეცოდაო...
სამძიმარზე იდექი, რომ დამირეკა.

ალჟირი - დედაშენი კარგად იყოს და მივხედავთ ჩვენ ჩვენს თავს.
გივიკო - მოგიკითხა... რა ქნა მამამ, არ იშოვა სამსახურიო?..
ალჟირი - (აწყვეტინებს. ყვირილით) სად ჯანდაბაში ვიშოვო სამსახური?
მთელი ქვეყანა უმუშევარია!

გივიკო - იკითხა უბრალოდ. იქნებ, დაურეკოსო ჩემს ბიძაშვილს და უშოვის სამსახურსო.

ალჟირი - არ დაურეკავ მე მაგის ბიძაშვილს! არავის სახვეწარი არ მაქვს მე.

გივიკო - დაურეკოსო და რამეს გაუკეთებსო. ან მძლოლად მოაწყობს ან დაცვაში აიყვანსო, ასე უსაქმოდ როდემდე უნდა იჯდესო, მე აქ მოხუცებულს ვუვლიო და შენო, ანუ ჩემზე იყო ლაპარაკი, უყურადღებოდ მყავხარო...

ალჟირი - (სასოწარკვეთილი) გაჩუმდი, თუ კაცი ხარ.

გივიკო - მენატრებითო...

ალჟირი - (გაბრაზებული) თუ ვენატრებით, ჩამოვიდეს!

გივიკო - მერე, რა ვჭამოთ მამა? ჩემი სწავლის ფულს ვინ გადაიხდის? გადასახადებს ვინ გადაიხდის...

ალჟირი - (აწყვეტინებს, გაღიზიანებული) გაჩუმდი, თორე მივუწვები აგერ ბებიამენს და დამმარხეთ. მერე ხომ ჩამოვა დედაშენი?!

გივიკო - არ მინდოდა შენი წყენინება.

ალჟირი - მაშინ დაასხი!

(ჭიქებში სასმელს დაასხამს)

გივიკო - რაც დედამ მითხრა, ის გადმოგეცი...

(ჭიქებს მიუჭახუნებენ)

ალჟირი - ხსოვნა იყოს.

გივიკო - რაც მობილური უყიდეთ, ყოველდღე რეკავდა.

ალჟირი - დავმარხავთ ახლა დედას და დავრჩები ობოლი. გამიფრთხილდი მამაშენს.

გივიკო - მოდი, მამა, შენ გაგიმარჯოს.

(კარზე ფრთხილი კაკუნით ისმის)

გივიკო - მოვიდა ვიღაცა?

ალჟირი - ვინ უნდა იყოს, ამ შუა ღამეს?

გივიკო - მობრძანდით...

(კარი ჭრიალით იღება)

ქეთინო - გეძინათ, დედა?

ალჟირი - მობრძანდით, ქეთინო დეიდა.

ქეთინო - მოვალ, ორი წუთით. გამომართვი დედა. საჭმელი მოგიტანეთ.

ალჟირი - რატომ წუხდებით...

გივიკო - დაბრძანდი, ქეთინო ბებია...

ქეთინო - აბა, მშვიდრებს ხომ არ დაგტოვებთ?

ალჟირი - ახლა, იმაზე ვსაუბრობდით, ქალბატონო ქეთინო, რომ დავრჩი ასე ობლად, აგერ, დედაჩემი წევს კუბოში, მამა თხუთმეტი წელია აღარ მყავს და ვუყურებ ჩემს ცხოვრებას და ახლა ვხვდები, რომ სულ მარტო დავრჩი. (ხმაში ბზარი გაუჩნდება)

ქეთინო - მაგი არ თქვა, ალჟირ. ესაა ცხოვრება. მიდიან ჩვენგან ჩვენი საყვარელი ხალხი და აგერ, ახალი თაობა მოდის. მე და სულიკოს დღე არ გავიდოდა არ გვენახა ერთმანეთი. სულ ერთად ვიყავით. რა ვქნა ახლა, ვის გავცე

ხმა. კაცი არ დამრჩა ამ დუნიაზე. ჩემი შვილი ქალაქშია, კვირაში ერთხელ თუ დამირეკავს. (ცრემლნარევი ხმით) ჩემი სულივო, ჩემი...

ალჟირი – ვერ მივხედე კარგად, ვერ მოვუარე.

ქეთინო – ნუ იტყვი, მაგას. კარგი შვილი იყავი შენ.

ალჟირი – ა-ა, ასეთი აგვისტო გამითენა მიქელმა.

(ცაზე მეხი გავარდება)

ქეთინო – ხედავ? ტყუილად არ უნდა იყოს ეს მეხის დაცემა.

გივიკო – დაემთხვა უბრალოდ.

ქეთინო – გარდაცვლილი რომაა ოჯახში, არ შეიძლება მიქელზე ცუდის თქმა.

ალჟირი – (ქვითინით) ხსოვნა იყოს ყველასი, ვინც უდროოდ დაგვტოვა. (ქვითინს შეწყვიტავს) თქვენი მეუღლესი, ქალბატონო ქეთინო, ზვიად ასანიას ხსოვნა იყოს.

(ჭიქას მიუჭახუნებს)

ქეთინო - ჩემო ალჟირ, თხოვნა მაქვს ერთი და არ გაიკვირვო.

ალჟირი - გისმენ, ქალბატონო ქეთინო.

ქეთინო - თქვენ, ქალაქელი ხალხი ხართ, მარა, ჩვენ, სოფლად დარჩენილები, ვინც ვართ აგერ, მკვდრებით ვცოცხლობთ. ეგაა ჩვენი წარსულიც და მომავალიც. (ნაძალადევად გაიცინებს) შეხე, გივიკო როგორ მიყურებს.

გივიკო - არა, დავიღალე უბრალოდ.

ალჟირი - რაშია საქმე, ქალბატონო ქეთინო.

ქეთინო - მერიდება, რომ გითხრა, მარა, რომ არ გითხრა, არ გამოვა.

ალჟირი - თქვით, ქალბატონო ქეთინო.

ქეთინო - ჩემი ქმარი დამესიზმრა, ზვიად ასანია.

გივიკო - რას მელაპარაკებით!

ალჟირი - კაი, კაცო....

ქეთინო - (ნიშნისმოგებით) აბა...

ალჟირი - მერე? რაო, რა მინდაო.

ქეთინო - მერიდება გითხრა, ჩემო ალჟირ...

გივიკო - ნუ გერიდებათ, ქალბატონო ქეთინო...

ქეთინო - (პაუზის შემდეგ) ვთქვა?

ალჟირი - რა თქმა უნდა. დაასხი, გივიკო.

(გივიკო სასმისებში სასმელს ასხამს)

ქეთინო - რაო და, დამაბარა რაღაც...

ალჟირი - რა დაგაბარათ, ქალბატონო ქეთინო?

ქეთინო - (ბორძიკით) რა და...

გივიკო - თქვით, ქეთინო ბებია...

ქეთინო - რა ვიცი... ისე არ გამიგოთ, სოფლელებს ჩვენი ფილოსოფია გვაქ ამ ცხოვრებაზე.

ალჟირი - რაო, მერე რას ამბობს სოფლის ფილოსოფია?

ქეთინო - მკვდრები ვართ ჩვენ. ყველაფერს საიქიო წყვიტავს.
გივიკო - მაგი სახარებაშიც წერია.
ქეთინო - წერია, მარა არავის ჯერა.
ალჟირი - მე მჯერა.
ქეთინო - მაშინ, თუ გჯერა, აგერ, მოვიტანე ჩემი ქმრის ლაბადა და ფეხსაცმელი.
გივიკო - რატომ?
ქეთინო - დამესიზმრა ჩემი ქმარი. მითხრა, ქეთინოს ჩემი ლაბადა გამოატანე, ტვიდისო, კარადაში რომ მიკიდიაო და ახალი ფეხსაცმელიო. ჩემი გაიცრიცა სულო, უხერხულად ვარო.
გივიკო - მართალია, ამხელა კაცი ძველი ლაბადით ხომ არ ივლის?
ქეთინო - ფეხსაცმელსო კიდევო, რა სალაპარაკოა, მარა შინაურები ხართ და გეტყვით ფეხსაცმელს ძირი გაძვრაო.
ალჟირი - აუჰ!
ქეთინო - (ნიშნისმოგებით) აბა... (საქმიანად) ჰოდა, ჩამოვხსენი გუშინ ჩემი ქმრის ლაბადა, გავწმინდე, ფეხსაცმელს ლაქი გადავუსვი და მოვიტანე.
გივიკო - ამ პარკშია?
ქეთინო - ნამდვილად.
ალჟირი - (შეწუხებული) უჰ, ეს ამბავი არ გამეგო და...
ქეთინო - არ მითხრათ უარი, ალჟირ, არ მომჭრა თავი. ხომ იცნობდი ჩემ ქმარს? ხომ გახსოვს მისი სიკეთე, ცოდოა ის უბედური, გარეთ ვერ გამოდის თურმე სირცხვილისგან...
ალჟირი - როგორ გეკადრებათ... მაგაზე უარს როგორ გეტყვით. პირადად გადავცემ.
გივიკო - მამა, როგორ უნდა მიუტანო ქეთინო ბებიას ქმარს ლაბადა და ფეხსაცმელი?
ქეთინო - ჩემ საწყალ სულიკოს ჩაუდებს კუბოში.
ალჟირი - აბა რა...
ქეთინო - მხოლოდ, ფეხთან დაუდეთ და სუდარა გადააფარეთ.
ალჟირი - რა თქმა უნდა...
ქეთინო - სუდარა გადააფარეთ, არ გამოჩნდეს. არ არის საჭირო, მეზობლებმა გაიგონ, სულიკო ცაბურისა ზვიად ასანიასთვის ლაბადა და ფეხსაცმელი რომ მიაქვს. რა იცი, სოფელი ავია. ბოროტ ხმებს რა გამოლევს.
გივიკო - რა უნდა თქვან, ვითომ?
ალჟირი - სწორია. დასაფლავების დღეს, გასვენების წინ ვთხოვ ყველას, რომ მარტო დამტოვონ და ჩავდებთ ფეხებთან. სუდარას გადავაფარებ და არ გამოჩნდება. ლაბადას მარცხნივ ჩავდებ, ფეხსაცმელს მარჯვნივ.
ქეთინო - (სიხარულით) ჰო, ჩემო ალჟირ, ჰო შენ გენაცვალე. ეს მიმატანინე ჩემ ქმართან და მერე მე ვიცი.
გივიკო - ახლა რომ ჩავდოთ?
ქეთინო - ახლა არ ივარგებს. არ შეამჩნიოს ვინმემ.
ალჟირი - მართალია, შეილება გამოჩნდეს და კითხვები გაჩნდეს.
ქეთინო - სადაც კითხვაა, იქ ეშმაკიცაა, კი იცი შენ ეს. ასე პატიოსნად გვიცხოვრია მე და დედაშენს და მკვდარზე რატომ უნდა ვალაპარაკოთ ხალხი?

გივიკო - (ახლა მიხვდა, რატომ ეშინია ბოროტი ხმების ქეთინო ცაბურიას) აა-ა... მაშინ, მომეცით, კარადაში შევიწინახავ და დასაფლავების დღეს ჩავდით.

(ჭიქებს მიაჭახუნებენ)

ალჟირი - ხსოვნა იყოს ყველა წასულის იმ ქვეყნად. ნათელში ამყოფოს ღმერთმა. სხვა არაფერი უთხოვია?

სულიკო - იცოდე, ჩვენი ოჯახების საიდუმლო ჩვენი ოჯახების საიდუმლოა. გამიგე გივიკო?

გივიკო - ნუ ღელავთ, ქეთინო ბებია. სამარეში ჩავიტან ამ საიდუმლოს.

(ცარიელ სასმისებს მაგიდაზე დგამენ)

ქეთინო - გვიანია უკვე, წავალ აწი. ხვალ სატირალია ბევრი.

გივიკო - ხვალ ახალი რა უნდა იყოს?

ალჟირი - ხვალ რეკლამა გავა პანაშვიდის.

ქეთინო - ჩემი სულიკო ბევრს უყვარდა, კარგი ქალი იყო, ალალი. ხვალ მოვა კიდევ ბევრი დამტირალი. გარდაცვლილს, ნათელში ამყოფოს ღმერთმა, კაი დატირება უნდა. ისე, რომ მიუვიდეს და გაიგონოს, როგორ დაგვწყდა გული. კაი აბა, გნახავთ ხვალ და დაიძინეთ ახლა. არ გამაცილოთ, არ შეიძლება. (მის ადგომას სკამის ჭრიალი მოყვება. ხის კარს მძიმედ ალებს და გამოიხურავს)

ალჟირი - შეინახე და გამახსენე დასაფლავების დღეს. არ მოგვეჭრას თავი.

გივიკო - მართლა გჯერა, რომ ბებიაჩემი ამ ლაბადას და ფეხსაცმელს მიიტანს?

ალჟირი - არა, მარა გვთხოვა ქალმა.

გივიკო - არც მე მჯერა.

(ცაზე კვლავ მეხი გავარდება. ოთახში ჭურჭელი ახმაურდება - წკწკ წკწკ წკწკ...)

სურათი მეექვსე
შეხვედრა საიქიოში

შორიდან ჭიშკრის გალების ხმა ისმის. შემდეგ ოთახის ხის კარი იღება. ნაბიჯების ხმა. ამ ხმაზე სულიკო ცაბურის ელდანაკრავით ეღვიძება.

სულიკო – ჰა! მოხვედი, მურმან?

მურმანი – დამაგვიანდა ცოტა.

სულიკო – დავიღალე კაცო, მთელი დღე კუბოში წოლა არ გინდა? მომეხმარე, გადმოვიდე.

მურმანი – იქ იყო საბუთები გასარკვევი. ძალიან ბევრი მკვდარი დაგროვდა და ურიგოდ მომიწია შესვლა. მთელი ალიაქოთი ატყდა. კომპიუტერი გააკეთეს, მარა ვირუსი შეეყარა და ისევ აურია.

სულიკო – რაო, არ მიღებენ, თუ?

მურმანი – (კუბოდან გადმოსვლაში ეხმარება, ამის გამო მისი ხმა დამაბული და გაჭინთულია) როგორ არ მიგიღებენ, მაგრამ შეიძლება სხვა ჯგუფში მოხვდე და მე და შენ ერთად არ ვიყოთ.

სულიკო – დედა! მომკლა გინდა?

მურმანი – არ იცი შენ, იქ რა ხდება. კაი წამოდი, დაისვენე და დილით მოგიყვან ისევ.

სულიკო – ამისთვის მომკალი, რო სხვაგან ვიყო? რას მერჩოდი გამაგებინე, ვიყავი ჩემთვის, რას მერჩოდი, შე კაცო!

მურმანი – მე რას მეჩხუბები, მე კი არ ვწყვეტ, ვინ სად განაწილდება.

სულიკო – ახლა მეუბნები ამას? რო მომკალი, მაშინ უნდა გეთქვა ეს!

(ხის კარი ჭრიალით იღება და იხურება. კვლავ გვესმის ჩვენ მიერ საიქიოში წარმოდგენილი მაღალტექნოლოგიური ხმების ნაზავი. რა ხმებია ეს? თუ საერთოდ შესაძლებელია ასეთი კითხვის დასმა. რეჟისორისათვის შევეცდები, ჩემ მიერ დასმულ კითხვას თავად გავცე პასუხი - ეს ოცდამეერთე საუკუნის სასუფეველია)

მურმანი - ხედავ, რამხელა რიგია? მე კიდევ, ურიგოდ შევედი.

სულიკო - წინა მოსვლაზე რატომ არ იყო რიგი?
მურმანი - მიწისძვრა მოხდა სადღაც და იმიტომაც ამდენი ხალხი. წამოდი, განახო ნაცნობები.
სულიკო - (შეშინებული) დედა... ჩემი მშობლები უნდა ვნახო?
მურმანი - შენს მშობლებს ორმოც დღეში ნახავ. ახლა, სადაც ჩვენ ვართ ტრანზიტული ზონაა.
სულიკო - ვიზა რო არ მაქ?
მურმანი - (სიცილით) მკვდარს რა ვიზა უნდა, შე ქალო?
სულიკო - (სიცილით უპასუხებს) ეგ ვერ ვიფიქრე.
მურმანი - აქ ორი კატეგორიის ხალხია. ორმოცდღიანები და ისინი, ვინც ამანათს ელოდებიან.
სულიკო - რა იყო შე კაცო, რა მიკიბ-მოკიბვით მელაპარაკები.
მურმანი - იცანი?
სულიკო - ნაცნობი სახე კი აქვს. (შეჰკვივლებს) დედა! ეს ჩემი ქეთინოს ქმარი არაა? ზვიად ცაბურია!
მურმანი - კი, ზვიადია.
სულიკო - ზვიად, ჩემო ოქროს კაცო, რავა დამშვენებულხარ. რავა მოგხდომია სიკვდილი!
ზვიადი - (სიხარულით) სულიკო, ჩემო დაო. ასეა, ცოცხლებს სიკვდილის სიკვდილივით ეშინიათ, მკვდრებს კიდეც - სიცოცხლის.

(ერთმანეთს გადაკოცნიან)

სულიკო - (სიცილით) რავა გაუხარდება ქეთინოს, რომ ვეტყვი, რო გნახე.
მურმანი - ქეთინოს შენ ვერაფერს ეტყვი.
ზვიადი - (სიცილით) რო მოკვდება ჩემი ცოლი, მერე მე თვითონ ვეტყვი.
სულიკო - რავა ახალგაზრდად გამოიყურები?
მურმანი - რა დაგემართა, შე ქალო? მე რო მოვკვდი, თხუტმეტი წლის წინ, მეექვსე დღეს მოკვდა ზვიადიც.
სულიკო - მახსოვს, რავა არ მახსოვს. ეჰ, დავბერდით მე და შენი ცოლი, ჩემო ზვიად.
ზვიადი - სიყვარულმა ასაკი არ იცის, ხომ გაგიგია?
მურმანი - ასე ვართ, ამდენი წელი მე და შენი ქმარი გვერდიგვერდ.
სულიკო - ენატრები ქეთინოს ძალიან.
ზვიადი - ვიცი, რომ ვენატრები.
სულიკო - რავა, საიდან იცი?
მურმანი - ტრანზიტულ ზონაში რომ მოხვდე, საშვი უნდა აილო მიქელის მოადგილე ლუბასგან.
ზვიადი - მერე შეგიძლია, სიზმარში გამოეცხადო და დაელაპარაკო.
სულიკო - რავა, შენ რომ მესიზმრებოდი, ლუბას დამსახურებაა?
მურმანი - ახლა, ნუ დაიწყე შენებურად ეჭვიანობა.
სულიკო - არასდროს მომწონდა ეგ ლუბა. არაა კაი ქალი, ეგ!
მურმანი - მკვდარზე ეჭვიანობ, სულიკო?
სულიკო - მკვდარი მკვდარიო, გაიძახით და კი გამოიყურებით მშვენივრად.

ზვიადი - (სიცილით) თავისას არ იშლის. გახსოვს, ქალაქიდან რომ იყვნენ ჩამოსულები, კინოს რომ იღებდნენ, მსახიობზე რო იეჭვიანა?

მურმანი - რა დამავიწყებს.

სულიკო - რავა, არ მქონდა საეჭვიანო, თუ? ცხენით რომ ასეირნებდი იმ გომბიოს, არ უნდა მეეჭვიანა?

მურმანი - ქალო, ლუბა მიქელის მდივანია. მკვდარია, მკვდარი!

სულიკო - მკვდარი შენ ხარ! მაშინაც ასე მეუბნებოდი, მსახიობია მსახიობიო, და კი წაგასწართ მდინარეში.

ზვიადი - (სიცილით) კაი, სულიკო, ახლა თხოვნა მაქვს შენთან.

სულიკო - გამცეს ჯერ პასუხი!

მურმანი - რა გინდა, სულიკო? სიკვდილსაც არ მაცლი? საიქიოშიც უნდა გამიწვრილო გული ეჭვიანობით?

ზვიადი - სულიკო, რომ დაბრუნდები...

სულიკო - (აწყვეტინებს) ფეხს არ მოვიცვლი მე აქედან!

ზვიადი - რომ დაბრუნდები, შენი შვილი, ალჟირ ცაბურია ფეხებთან ჩემს ლაზადას და ფეხსაცმელს ჩაგიდებს, სუდარას გადააფარებს და წამომიღე, თუ ქალი ხარ.

სულიკო - მე მეუბნები ამას?

ზვიადი - ჰო, ჩემი ცოლი უკვე გავაფრთხილე.

სულიკო - რავა, ტრანზიტული ზონიდან რაფერ უთხარი?

მურმანი - ხომ აგიხსენი, ტრანზიტულ ზონაში შეგიძლია დაესიზმრო და უთხრა, რაც გინდა.

სულიკო - და მე რაფერ გავაგებინო ჩემს შვილს? ხომ აღარ ესმით ჩემი?

ზვიადი - მაგაზე შენ არ იდარდო. ჩემი ქეთინო მივიდა უკვე ალჟირთან და მიუტანა წამოსაღები.

სულიკო - და შენ გგონია, არ დაავიწყდება?

ზვიადი - როგორ თუ დაავიწყდება? აბა, ამ ლაზადით ვიარო? შეხედე ჩემს ფეხსაცმელს, გამოეხა ძირი უკვე.

მურმანი - შენც კიდეც, დარჩი ერთი დღეს და კიდეც ერთხელ გააფრთხილე, რომ მივიდეს ალჟირთან და შეახსენოს, არ დაავიწყდეს. ვიცი მე ჩემი შვილის ამბავი. გამორჩება.

ზვიადი - დღეს უნდა დავბრუნდე უკან.

მურმანი - მე ვეტყვი ლუბას, დაგტოვოს კიდეც ერთი დღე.

სულიკო - შენ რატომ უნდა უთხრა? ზვიადი ვერ ეტყვის?

მურმანი - (გაუბედავად, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო) ზვიადიც ეტყვის...

ზვიადი - მე რომ ვუთხრა, არ დამტოვებს...

სულიკო - აბა, შენ რატომ დაგიჯერებს, ვითომ?

მურმანი - არ დამიჯერებს მეც.

სულიკო - აბა, რატომ თქვი, მე ვეტყვი და დატოვებსო?

მურმანი - არ ვთქვი, ისე, ვიფიქრე, რომ მეგობარს დავეხმარები და ვთხოვ ლუბას, რომ...

სულიკო - (აწყვეტინებს) და ზვიადი ვერ თხოვს?

მურმანი - კი, ზვიადიც თხოვს.

ზვიადი - ერთად ვთხოვთ.

სულიკო - მაგ ლუბამ სიცოცხლეში არ მომასვენა და სიკვდილიც უნდა გამიმწაროს? რა უნდა ჩემი ქმრისგან?

მურმანი - ხომ გითხარი, მიქელის მდივანია.

სულიკო - ვისი მდივანიც უნდა იყოს, რა უნდა ჩემი ქმრისგან?

მურმანი - არაფერი, მე მინდა ლუბასგან.

სულიკო - დედა! შენ რა გინდა ლუბასგან?

მურმანი - ქალო, რომ გესიზმრებოდი კვირაში ორჯერ, ვისი დამსახურებაა, თუ იცი? ვინ მიშვებდა ტრანზიტულ ზონაში?

სულიკო - ჩემი მკვდარი ქმარი რომ დამესიზმროს, ვიღაც ლუბას უნდა ვუმადლოდე? იცოდე არ გადამრიო ახლა, მურმან!

მურმანი - ჩუმად, სულიკო, არ გაგვიგონ.

სულიკო - გამიგონ და გამიგონ! მკვდარი ვარ უკვე და აწი რაღას მიზამენ. მაჩვენე ის ლუბა, იცოდე!

მურმანი - სულიკო, სად მიდიხარ...

ზვიადი - სულიკო, სად მიდიხარ, დაბრუნდე უნდა... ტრანზიტული ზონაა...

(მათი ხმა ნელ-ნელა იკარგება. საიქიოში ქარმა დაუბერა, ზუის და წკმუტუნებს)

სურათი მეშვიდე

მომაყარე მიწა

დასაფლავებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიწაში ამოთხრილ საფლავთან რამდენიმე ათეული ადამიანი დგას. ეს ისე. ლირიკული გადახვევა მკითხველისათვის. რეჟისორმა კი უნდა იცოდეს, როდესაც კუბო მიწაში ეშვება, ის ამოთხრილ ორმოს ხან მარჯვნივ მიეჯახება, ხან მარცხნივ, რის გამოც ყრუ, დამთრგუნველი ხმა ისმის. ეს ხმა თითქოს საიქიოდან გადმოსული ბგერაა, რომელიც თანაბრად მტკივნეულად ხვდება გულში ჭირისუფალს და ჭირისუფლის თანამგრძობელსაც. კუბო მიწაში ეშვება. ეს საქართველოში შემდეგნაირად ხდება: ამოთხრილ საფლავს ოთხი მესაფლავე ადგას. ორი კუბოს თავში, ორიც - ბოლოში. მათ ხელში თოკი უჭირავთ, რომელიც კუბოს ქვევიდან აქვს გამოყრილი და ნელ-ნელა უშვებენ მძიმე სასახლეს ამოთხრილ ორმოში. შესაძლებელია, მეტი დრამატიზმისათვის სცენას კანტიკუნტი ქვითინი, ტირილი, ჩუმი ბუტბუტი ახლდეს. ისე, როგორც გვესმის ხოლმე საფლავთან მდგომებს ასეთ მძიმე წუთებში. და არა აქვს მნიშვნელობა, ჭირისუფალი ხარ თუ რიგითი გამვლელი - საიქიოს ხმა გულში გწვდება და ბნელი ფიქრებისაკენ გიბიძგებს. კუბო საზარელი გრუხუნით დაეშვება ამოთხრილ ფსკერზე და წესისამებრ, ჭირისუფლები მუჭა მიწას მიაყრიან ხოლმე სასახლეს. მიწის დაყრის ხმა, რომელსაც კუბო გამოსცემს, ნოტებად მხოლოდ ბეთჰოვენს თუ შეეძლო ექცია. ჭეშმარიტად! ჩვენ კი, უბრალო მკითხველი, მიმდინარე ცერემონიის დროს მომდევნო დიალოგის მომსწრენი ვხდებით.

გივიკო - მამა, ახლა ამის დრო არ არის, ვიცი...

ალჟირი - მიაყარე მიწა ბებიაშენს.

გივიკო - (კუბოზე მიწის დაყრის ხმა) მამა... რაღაც გამახსენდა...

ალჟირი - ვაი, დედაჩემო...

გივიკო - მამა...

ალჟირი - ყველა დაჰატიჟეთ ქელეხში? არ დაგვრჩეს ბიჭო ვინმე, არ მოგვეჭრას თავი. ბევრი ხალხი მოვიდა ძალიან.

გივიკო - კი, როგორც დამავალე, ყველა გავაფრთხილე, ქელეხში მოსულიყო.

ალჟირი - ხო, კაი ბიჭი ხარ, მამი... აქ ხომ იცი... მიაყარე მიწა... გიყურებს ხალხი... აქ ხომ იცი, თუ პირადად მოსაწვევი არ გაუგზავნე და არ ეხვეწე, ისე არ იკადრებენ მოსვლას. წავა და ეწყინება. უცანური ხალხი ვართ ქართველები, ნამეტანი უცნაური...

გივიკო - მამა...

ალჟირი - იმის მაგივრად, დედა დავიტოვო, სტუმრებზე ვფიქრობ. სუფრა გამალეს უკვე? შეამოწმე? წესრიგშია ყველაფერი?

გივიკო - კი, მამა. შევამოწმე...

ალჟირი - სკამები დაამატეს? ხომ გვითხრეს, გვაკლიაო.

გივიკო - კი, მამა, დაამატეს. გვეყოფა. ზედმეტად მოვატანინე. რა იცი, ვინ მოვა კიდევ.

(აი, ამ დროს მესაფლავენი ნიჩბებით იწყებენ კუბოზე მიწის დაყრას. ეს ხმა ახლა ინტენსიური და ყოვლისმომცველია. შემზარავია პირდაპირ, მაგრამ რას იზამ. ასეთია ცხოვრება)

ალჟირი - ღვინო კარგია?

გივიკო - კი, მამა. გუმინ გაგასინჯე და მოგეწონა.

ალჟირი - თევზი?

გივიკო - კი, მამა, არ ინერვიულო.

ალჟირი - საწყალი დედაჩემი...

გივიკო - მამა, რაღაც უნდა გითხრა.

ალჟირი - ქეთინო სადაა?

გივიკო - მამა მომისმენ?!

ალჟირი - იცოდე, უმაღლეს დონეზე უნდა იყოს ყველაფერი, როგორც ბებიაშენს შეეფერებოდა.

გივიკო - (მოთმინება დაკარგა) მამა! დაგვაზიწყდა.

ალჟირი - არ მითხრა ახლა, ვინმეს დაჰატიჟება გამოგვრჩაო!

გივიკო - არა, მამა - ქეთინოს მოტანილი ლაზადის და ფეხსაცმელის ჩადება დაგვაზიწყდა.

ალჟირი - ხუმრობის დრო გაქ? დედას ვმარხავ, შვილო.

გივიკო - არა მამა, არ ვხუმრობ. კარადაშია, ისე როგორც დავდე. იქ დაგვრჩა.

ალჟირი - რა გინდა? მომკლა გინდა? ხომ გთხოვე?

გივიკო - კი, მთხოვე, მაგრამ დამავიწყდა ჩადება. იმდენი საქმე მქონდა.

ამომივარდა თავიდან.

ალჟირი - მე მიკეთებ ამას, შვილო?

გივიკო - კაი, მამა, ვინ შეამჩნევს? ქეთინოს ვუთხრათ, რომ ჩავატანეთ.

ალჟირი - რომ გაგიგოს?

გივიკო - როგორ უნდა გაიგოს, მამა?

ალჟირი - ჰო, ეგეც არის, მარა, ხო იცი აქაურების ამბავი... რა ვიცი...

გივიკო - ვერ გაიგებენ. ხვალ რომ წავალთ, გზად გადავაგდოთ სადმე.

ალჟირი - ვერ მოგვსვლია კაი ამბავი, შვილო.
გივიკო - კაი, რა მამა. დამავიწყდა.
ალჟირი - მეც დამავიწყდა.
გივიკო - ვითომ ჩავდეთ. ქეთინოს არც ემახსოვრება.
ალჟირი - კაი, ხვალ ჩუმად გავიდეთ, დილით.
ქეთინო - (მამა-შვილის ჩუმ საუბარში ხმამაღლა ერთვება) დავმარხეთ ჩვენი სულიკო. ჩემო ალჟირ, დედის დაკარგვა მძიმეა.
ალჟირი - მძიმეა, ქალბატონო ქეთინო. ასეთი მტკივნეული თუ იყო, რას წარმოვიდგენდი. ამხელა კაცი ვარ და ბავშვივით ვტირი.
ქეთინო - გივიკო, შვილო, უყვარდი ბებიაშენს, ნამეტანი.
გივიკო - მეც მიყვარდა ბებია.
ქეთინო - (ჩურჩულით) წუხელ ღამე კიდევ დამესიზმრა ჩემი ქმარი. მოგიკითხათ ყველა. სასუფეველშია ჩვენი სულიკო, ასე მითხრა. მისი ქმარიც იქ არის. ერთად არიან.
ალჟირი - რას მელაპარაკებით!
ქეთინო - (ნიშნისმოგებით) აბა... (კვლავ ჩურჩულით) ასე მითხრა, რიგს ველოდებითო, მიქელთან თურმე დიდი რიგია, სადღაც მიწიძვრა მომხდარა და ყველაფერთან ერთად კომპიუტერს ვირუსი აქვს და ტრანზიტულ ზონაში ვართო. მარა კარგად არის სულიკო და არ ინერვიულონო.
გივიკო - მერე, საიქიოში არ ყავთ კარგი აიტი?
ქეთინო - არ ვიცი, არ უთქვამს მაგი, მარა...

(მოსაუბრეებს შორის ჩამოვარდნილ უხერხულ პაუზას ჭირისუფალთა ფეხის ხმა არღვევს. ნიჩბებისაგან გამოწვეული ხმაური, რომელიც ამოთხრილ საფლავის ორმოს ავსებს, შორიდან ისმის. მოსაუბრენი გზას ფეხით მიუყვებიან. მათ გვერდით უტყვი, ჩუმი და მძიმე ფეხის ნაბიჯების ხმა ისმის. თანასოფლელებმა საყვარელი სულიკო ცაბურია მიწას მიაბარეს, ახლა კი ფეხით სასაფლაოს მიუყვებიან)

ალჟირი - ქალბატონო ქეთინო, მგონი ყველა დავპატიჟეთ ქელეხში. ვინმე ხომ არ გამოგვრჩა? არ მომეჭრას თავი.
ქეთინო - ჩემმა ზვიადმა მკითხა, ხომ ჩაატანეს სულიკოს ჩემი ლაბადა და ფეხსაცმელი?
ალჟირი - გივიკო...
გივიკო - კი, ქეთინო ბებია, დღეს დილით ჩავდეთ. იქ არ იყავი, მამა?
ალჟირი - (დაბნეულად) კი, კი ჩავდეთ.
გივიკო - კარადიდან გამოვიღეთ, ცელოფნის პარკი მოვხსენით და ფეხებთან ჩაუდეთ. მერე სუდარა გადავაფარეთ, ისე, რომ არავის შეემჩნია. არა, მამა?
ალჟირი - კი... კი...
გივიკო - ისიც კი მოვიფიქრე, რომ ფეხსაცმელი ბებიაჩემის ფეხებთან მარჯვენა მხარეს ჩავდე, ლაბადა მარცხენა მხარეს, თორემ ამოიბურცა და ვიფიქრე, ვინმეს არ ეკითხა, რას ატანთო. არა, მამა?
ალჟირი - კი, კი, ასე იყო...
გივიკო - მიუტანს დღეს ბებიაჩემი თქვენს ქმარს ლაბადასაც და ფეხსაცმელსაც.
ქეთინო - უჰ, თქვენ გაიხარეთ, თქვენ იდღეგრძელეთ ჩემო შვილებო. თითქოს ლოდი ჩამომვარდა გულიდანო.

გივიკო - ქეთინო ბებია, არ უთქვამს თქვენს ქმარს, რა ვირუსია საიქიოშიო? ანტივირუსი არ აქვთ? მაკზე მუშაობენ თუ ვინდოუსზე?

ქეთინო - არ ვიცი, შვილო, მაგდენში ვერ ვერკვევი. მე ჩემი დარდი მქონდა.

გივიკო - თუ კიდევ დაგესიზმრათ თქვენი ქმარი, უთხარით ჩემზე. მაგის სპეციალისტი ვარ. ქსელებსა და ადმინისტრაციაზე ვსწავლობ.

ალჟირი - ხუმრობს, ქალბატონო ქეთინო.

ქეთინო - (სიცილით) კაი ცუდლუტი ვინმე კი ხარ შენ, გივიკო. ბებიაშენს გავხარ ნამეტნავი.

(მოსაუბრენი ნელ-ნელა გვცილდებიან. სანაცვლოდ, ისმის ფეხის ხმა რამდენიმე ათეული ადამიანისა რომლებიც ჩუმად და მდუმარედ მიაბიჯებენ)

სურათი მერვე

თურქული ყავის ძალა

სასუფეველი. ჟურნალის გადაფურცვლის ხმა. ეს მიქელია, რომელიც კომპიუტერული ვირუსის გამო იძულებულია, კვლავ საქალაქეებს დაუბრუნდეს. მიქელს გაციებამ გასულ ხუთ დღეში არ გაუარა. ცხვირს იხოცავს.

მიქელი - მაშ, გავიდა უკვე ხუთი დღე?

მურმანი - ჭეშმარიტად გავიდა! როგორც მიბრძანეთ, ისე მოვაგვარე ყველაფერი, ხუთ დღეში.

მიქელი - რა გეჩქარებოდათ?

სულიკო - თქვენ არ გვითხარით, ბატონო, ხუთი დღეო? თვარა ჩვენთან შვიდი დღეა წესი.

მიქელი - მე რა ვიცოდი, მიწისძვრა თუ მოხდებოდა? ვერ ხედავ, რამდენი საქმე დამეყარა თავზე?

სულიკო - (უკმაყოფილო) ჩვენ კი გითხარით... მარა...

მიქელი - თანაც ეს ვირუსი დაგვემატა. მთელ საიქიოში კომპიუტერებია გათიშული. არ ირთვება. კაცმა არ იცის, რა წაიშალა და რა დარჩა.

მურმანი - ჩვენ შვიდი დღე გთხოვეთ, მარა...

მიქელი - კიდევ კარგი, ლუბა ხელით წერს საქალაქეებში ყველაფერს. თორე რა ფაილები გადარჩება, კაცმა არ იცის. (დააცემინებს) კაი, მითხარით, აბა, საიდან მოდიხართ? (გაცემულ პასუხებს საქალაქეებში წერს, რის გამოც ფურცელზე კალმის გასმის ხმა ისმის)

სულიკო - საქართველო, ბატონო ჩემო.

მიქელი - თქვენი გვარი, სახელი.

სულიკო - სულიკო ცაბურია.

მიქელი - მეუღლე ცოცხალია?

სულიკო - ქვრივი გახლავარ, აგერ უკვე თხუთმეტი წელია.

მიქელი - მეუღლის სახელი?

სულიკო - მურმან ცაბურია.

მურმანი - მე გახლავართ, ბატონო.

მიქელი - (ცხვირს მოიხოცავს) ა-ა, ჰო. მურმან... რა გამოგატანეს?

სულიკო - მაკრატელი, ერთი წყვილი ლაქის ფეხსაცმელი, ჩითის კაბა, თავსაფარი, საქსოვი ძაფი და ჩხირები, ყურთბალიში, სავარცხელი, სარკე, ქოლგა, პომადა, „ჩულქები“, გულსაბნევი, „კალიცო“, სათვალე, წინსაფარი, საფულე, ხელჩანთა, ქინძისთავი, სათითე, მახათი, ღამის პერანგი „კრუჟავოებიანი“, სულ ახალი თეთრეული, ღამის ქოთანა, ტელეფონის ბლოკნოტი, მობილური ტელეფონი, აბზინდა, მძივი, კარტი, პასეანსის გაშლა მიყვარს ძაან, თურქული ყავა, ჯეზვე...

მიქელი - საკმარისია... (ცხვირს დააცემინებს. დაიყვირებს) ლუბა, ყავა მომიდუღე!

მურმანი - ბატონო მიქელ, ერთი რამე უნდა გითხრათ...

მიქელი - (აწყვეტინებს) თქვენ ახლა ტრანზიტულ ზონაში ხართ, დღის ბოლოს გადაგიყვანთ საიქიოში.

მურმანი - ბატონო მიქელ...

მიქელი - თქვენი მეუღლე გაგაცილებთ. როგორც წესი, ასე არ ხდება ხოლმე, მარა, რას იზამ... გვიწევს გამონაკლისის გაკეთება. ბატონო მურმან, რამდენი წელია მკვდარი ხართ?

მურმანი - თხუთმეტი, ბატონო ჩემო. ყველა გზა ხუთი თითივით ვიცი. მარა, ერთი ამბავი მოხდა...

მიქელი - რა მოხდა?

მურმანი - რა მოხდა ბატონო და ზვიად ასანიასთვის უნდა წამოეღოთ ლაბადა და ფეხსაცმელი...

მიქელი - მერე?

სულიკო - მერე, გამოტანება დაავიწყდათ.

მიქელი - დაავიწყდათ და დაავიწყდათ. რა ვუყოთ მერე?

მურმანი - ძალიან დარდობს.

სულიკო - გამოხეული ფეხსაცმლით დადის ის უბედური.

მიქელი - ყველა მკვდარს ხომ არ გადავყვები? მოკვდება მისი მეუღლე და ჩაუდონ იმას.

მურმანი - ბატონო მიქელ, აგერ არის, კარს მიღმა იცდის და რომ შეგეხედათ, მიხვდებოდით, რომ მეტის მოთმენა არ შეიძლება. ცოდოა კაცი. გაცრეცილი ლაბადა არ არის პატიოსანი მკვდრის სატარებელი. ფეხსაცმელზე არაფერს ვამბობ.

მიქელი - როდის უწევს მის ცოლს?

სულიკო - ერთი ლაბადისა და ფეხსაცმლისთვის ნუ მომიკლავთ, გენაცვალე, ჩემ ქეთინოს.

მურმანი - აგერ არის, ტრანზიტულ ზონაში, ერთი ღამეც დავტოვოთ, დაესიზმრება მის ცოლს და ეტყვის, რომ დაავიწყდათ ჩადება.

მიქელი - მერე, როგორ ჩაგიდებენ? მკვდარს ხომ არ ამოთხრიან?

სულიკო - ამომთხრობიან ბატონო მიქელი, ისე, რომ ვერ გაიგებს ვერავინ.

მიქელი - სულ გაგიჟდით, ხომ ქართველები? ცოდვა გინდათ ჩამადენინოთ, ერთი ლაბადისა და ფეხსაცმლისთვის? (ცხვირს დააცემინებს. ხმამაღლა) ლუბა, რა გახდა ერთი ყავა?!

მურმანი - აგერ, შემოვიყვან ბატონო მიქელ და ნახავთ თავად. (სკამიდან ხმაურით დგება, რამდენიმე ნაბიჯში კართან აღმოჩნდება და გამოაღებს. ღია კარიდან ხალხის ხმაური შემოიჭრება. ეს ხმაური უკმაყოფილო ხალხის გუგუნს უფრო ჰგავს, ისეთს, სიტყვას რომ ვერ გაარჩევს ადამიანის ყური) შემოდი, ზვიად.

(ისმის რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯის ხმა. კარი იხურება და მისაღებიდან შემოსული გუგუნიც წყდება)

მიქელი - (პაუზის შემდეგ. შეწუხებული იმით, რაც ნახა) აუჰ... ეს რა დაგმართნია, ზვიად ასანია?

ზვიადი - დამნაშავე ვარ, ბატონო მიქელ, მარა თხუთმეტი წელია აგერ გასული და...

მიქელი - ისეთი ნათრევი ლაბადა გაცვია... იჩხუბე ზვიად?

ზვიადი - არა, ბატონო მიქელ, ჩხუბი რა საკადრისია.

სულიკო - შემოეხა, ბატონო.

მიქელი - ფეხსაცმელს რა დამართნია. ფეხბურთს თამაშობდი ამით?

ზვიადი - არა, ბატონო, კრიკეტს.

მიქელი - (ცხვირს მოიხოცავს. მრავალმნიშვნელოვნად) და... ვერ მოგსვლია კარგი ამბავი. (პაუზის შემდეგ) როგორ მოუვიდათ ეს?

ზვიადი - არ ვიცი, სამჯერ დავესიზმრე ჩემს ცოლს და სამჯერვე მითხრა, ყოველდღე ვახსენებ და არ დაავიწყდებათო.

მიქელი - იცის შენმა ცოლმა, რომ დაავიწყდათ გამოტანება?

ზვიადი - არა, დღეს ღამე მინდოდა მეთქვა.

მიქელი - შენი ცოლი რომ გამოვასალმოთ სიცოცხლეს?

ზვიადი - და იმან წამომიღოს?

სულიკო - ახალი მკვდრის ადგილი გაქვთ?

მურმანი - ერთი ღამის ამბავია. გთხოვთ, ბატონო მიქელ.

მიქელი - რა ვქნა კაცო, ეს რა დღეში ჩამაგდეთ...

სულიკო - ვერავინ ვერ გაიგებს, ბატონო მიქელ, ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი...

ზვიადი - მერიდება გარეთ გამოსვლა, უკვე ...

მიქელი - კაი, იყოს ასე. ახალი მკვდარი არ გვინდა ჯერ. ოღონდ, იცოდე, ერთი ღამით გტოვებთ. მეტი არ მთხოვოთ. დღესვე დაესიზმრები შენს ცოლს და ეტყვი, რომ... რომ... რომ (ცხვირს დააცემინებს) რას შვება ეს ლუბა ამდენ ხანს?

სულიკო - ყავას ხომ არ ინებეთ, ბატონო მიქელ? მე თვითონ მოვადუღებ. (სკამიდან დგება და სწრაფად გადის)

სურათი მეცხრე
უკან საფლავთან

ღამეა. ჭრიჭინები კანტიკუნტად ჭრიჭინებენ. ალაგ-ალაგ სიო წამოუბერავს. სადღაც ჭოტი საპატარძლოს ეძებს. ამასობაში, მამა-შვილ ალჟირ და გივიკო ცაბურიებს სულიკოს საფლავი გაუთხრიათ და კუბოს თავს ხდიან. ამ დამთრგუნველი სამუშაოთი გამოწვეული ხმა, მოსასმენად საზარელი კია, მაგრამ სხვა რა გზა აქვთ მამა-შვილს?

ალჟირ - ფრთხილად, მამა!
გივიკო - წამოწიე, მიჭირავს.
ალჟირი - ავწიე, ავწიე.
გივიკო - ჩუმად, რა გაყვირებს, მამა.
ალჟირი - ვაი, დედაჩემო...

(პაუზა. მაგრამ სიტყვების სიმცირეს კვლავ სოფელის ღამისათვის დამახასიათებელი ხმები ავსებს)

გივიკო - ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე.
ალჟირი - (გაბრაზებით) ოჰ, ქეთინო... რა მიქენი ეს, დედაჩემის საფლავს თუ ამოვთხრიდი, რას წარმოვიდგენდი.
გივიკო - მამა, აგერ, გამომართვი, ეს ლაზადაა... (პაუზის შემდეგ) მამა!

ალჟირი - რა გაყვირებს, ყრუ კი არ ვარ.

გივიკო - გამომართვი, ლაბადა.

ალჟირი - მომაწოდე, მომაწოდე...

გივიკო - მარჯვნივ ჩადე.

ალჟირი - რა მნიშვნელობა აქვს, ნუ შემშალე!

გივიკო - აბა, საიდან გაიგო ქეთინომ, ჩადება რომ დაგვავიწყდა?

ალჟირი - მომეცი ფეხსაცმელი.

გივიკო - გამომართვი.

ალჟირი - ეს მარცხნივ ჩავდო?

გივიკო - ჰო, არ აგერიოს.

ალჟირი - ყავა მომაწოდე... ორმოცდაათი წლის კაცი ვარ და გამოჩერჩეტებული ქალის სიზმრის გამო, დედაჩემის საფლავი გავთხარე. საქმეა ახლა ეს?

(ნიშნისმოგებით, გაბრაზებული უფრო საკუთარ თავზე, ვიდრე ქეთინო ასანიაზე) დასიზმრებია, ბატონო ჩემო, ქეთინოს თავისი ქმარი და უთქვამს, სულიკო ვნახე, კარგად არის, ქმართან ერთად არისო, მარაო, არ ჩაუდიათ კუბოში არც ლაბადა და არც ფეხსაცმელიო. დაავიწყდათ ეტყობა იმ არეულობაშიო.

გივიკო - რა გინდა, მართალი უთქვამს.

ალჟირი - და შენ გჯერა, რომ მართლა დაესიზმრა?

გივიკო - აბა, საიდან იცის, რომ დაგვავიწყდა?

ალჟირი - არაფერიც არ იცის. აკვიატებული აქვს რაღაც და მორჩა. ჰო, ახლა კიდევ, ყავა გამოატანეო, ასე უთქვამს...

გივიკო - აი, გამომართვი ქეთინოს ყავა. არ მეგონა, მკვდრები თუ ყავას სვამდნენ.

ალჟირი - ყავა სად ჩავდო?

გივიკო - დადე, ფეხებს შუა.

ალჟირი - ა-ა, ბატონო, დავდე.

გივიკო - მამა, დღეს რომ გათენდება, უთენიაზე უნდა გავიდეთ, თორემ ქეთინოს სიზმრებს თუ ავეყვით, ხვალ შეიძლება კომპიუტერის ანტივირუსი მოგვთხოვონ.

ალჟირი - ხუმრობის ხასიათზე ხარ?

გივიკო - თვითონ არ თქვა, საიქიოში კომპიუტერებს ვირუსი აქვთო? მე რატომ მეჩხუბები?

ალჟირი - კაი, დავახუროთ ახლა სახურავი და მივაყაროთ მიწა.

(მამა-შვილი კუბოს სახურავს დააფარებს. ამისაგან გამოწვეული ხმა მხოლოდ განრისხებული ზევსის ტაშის შემოკვრას თუ ჰგავს)

გივიკო - მომეცი ხელი.

ალჟირი - უჰ...დავბერდი უკვე საფლავის ამოთხრისათვის.

გივიკო - აი, შენი ნიჩაბი.

(ნიჩბებით კუბოს მიწას აყრიან. მომდევნო დიალოგი ამ ხმის ფონზე მიმდინარეობს)

ალჟირი - ჩქარა, ბიჭო, არ დაგვინახოს ვინმემ.

გივიკო - თენდება უკვე.

ალჟირი - მოვასწრებთ. დილიდან ამიკლო ქეთინო ასანიამ. ჩემი ქმარი დამესიზმრა, ჩემმა ქმარმა მითხრა, ჩემი ქმარი დახეული პალტოთი დადის, ჩემ ქმარს დედაშენი უნახავს, ჩემ ქმარს ფეხსაცმელი დაეხა, ჩემ ქმარს გარეთ გამოსვლის ერიდება, ჩემი ქმარი...

(ახლოს ძალღი დაიყეფებს. ალჟირი სწრაფად ჩუმდება. პაუზა.)

ალჟირი - გაიგონე?

გივიკო - მესაფლავის ძალღია, მგონი.

(გაორმაგებული ძალით განაგრძობენ მიწის მიყრას)

ალჟირი - აბა, არ გავჩერდეთ.

გივიკო - მაინტერესებს, დღეს დილით ქეთინო თუ გვეტყვის რამეს?

ალჟირი - არა, იცი რაზე ვბრაზდები? ამ გამოშტერებულ ბებერს რომ ავყევი და საფლავი გავთხარე.

გივიკო - კი ვიცოდი, ქართველები რო ვერ იყავით სრულ ჭკუაზე, მარა ასეთი რამე თუ მამაჩემს დაემართებოდა არ მეგონა. კაცმა რომ გკითხოს, ევროკავშირში გინდა შესვლა და ნატოში.

ალჟირი - რას გეტყვი, იცი?!... შენც ქართველი ხარ და მარსიდან არ ჩამოსულხარ.

გივიკო - ჰო, მაგრამ შენ რომ მოკვდები და მე დამესიზმრები, არ მითხრა მერე, სატელიტური თეფში ჩამატანე, ფეხბურთს უნდა ვუყუროო.

ალჟირი - და ცივი ლუდი კიდევ.

გივიკო - არ ვხუმრობ.

ალჟირი - აბა, რა გინდა, დამმარხო და მომიცილო ხომ თავიდან? ამხელა ამაგი მაქვს შენზე. ცივი ლუდი და ფეხბურთი გენანება, შვილო ჩემთვის?

გივიკო - სად, მამა, საფლავში?

ალჟირი - აბა, მსოფლიო ჩემპიონატს მარტო შენ უნდა უყურო?

გივიკო - მოვჩით, მგონი.

ალჟირი - ღმერთო, შენ მაპატიე. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე.

გივიკო - მომეცი, ნიჩაბი.

ალჟირი - ვაი, საწყალო დედაჩემო.

გივიკო - წამოდი, მამა. მომეცი მანქანის გასაღები.

(მამა-შვილი მანქანისკენ მირბიან. სირბილის ხმა. მანქანის კარის გაღების ხმა. შემდეგ ორი კარი იხურება. მანქანა იქოქება და ადგილიდან იძვრება. მანქანას ძალღი ყეფა-ყეფით გამოუდგება)

ალჟირი - (აქომინებული) დაინახე? გავასწარით, მგონი.

გივიკო - (ძლივს სუნთქავს) ჩავალაგოთ და რო გათენდება, გავიპაროთ. ქეთინოს ქმარს კრუასანები თუ მოუნდა, მე ბებიაჩემს მეორეჯერ აღარ ამოვთხრი.

ალჟირი - მამაჩემის კუბო დავინახე. გვერდით იდო. ვაი, მამაჩემო...

(მანქანა გვცილდება, ძალი მანქანას მისდევს, შესაბამისად ნელ-ნელა მისი ხმაც შორიდან ისმის)

სურათი მეათე
ვისი სული გსურს?

პოპულარული სერიალის გმირები თავისას არ იშლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ტელევიზორში სერიალია. ეს სწორედ ის სერიალია, პირველ სცენაში რომ უყურებდნენ აწ განსვენებული სულივო ცაბურია და მისი ბავშვობის მეგობარი ქეთინო ასანია.

ფსევდოგანმგმირავი მუსიკის ფონზე სერიალის გმირებს - თარაშა და ლიას შორის უსასტიკესი დრამატული კონფლიქტი თამაშდება. შესაძლებელია, რომ ტელესერიალის სცენარისტმა (გვარს კოლეგიალურობის გამო არ დავასახელებ) სიტყვიერად ეს ვერ გადმოსცა, სამაგიეროდ, მსახიობების ნათამაშევით ვხვდებით, რომ საქმე სერიოზულადაა. თუმცა, მოვრჩეთ ლირიკას და მოვუსმინოთ.

მომდევნო დიალოგი ტელევიზორის ხმის ეფექტით თამაშდება.

თარაში - (აქ და მომდევნო ტექსტებში ყვირილით) ეგ არ არის ჩემი შვილი!

ლია - (შეშინებული) ბატონო თარაშ, რატომ მიკეთებთ ამას?

თარაში - მე კი არა, შენ მიკეთებ. იმ მეჯინიბე ჯუმბერს ჩაუწევი, ახლა კი გინდა, რომ სხვისი შვილი ჩემად გაასალო. წადი და მეჯინიბემ მოგიყვანოს ცოლად.

ლია – ბატონო თარაშ, მე არ მინდა თქვენი ცოლობა... მეჯინიბე ჯუმბერთან რა საერთო მაქვს?

თარაში – დაგინახე, როგორ შეგათრია საჯინიბოში!

ლია – თქვენ ეგ თუ დაინახეთ, იმასაც დაინახავდით, რომ მე იქ ერთი წამი არ დავყოვნებულვარ.

თარაში – მაშინ თუ არა, სხვა დროს ხომ შეგათრევდა!

ლია – ბატონო თარაშ, მე თქვენგან არაფერს ვითხოვ, მხოლოდ მინდა იცოდეთ... (ქვითინს იწყებს)

თარაში – რა, რა უნდა ვიცოდე? ერთი უბრალო მოსამსახურე ხარ. შენი ადგილი სამზარეულოშია... ეგ ბავშვი ჩემი არაა. გინდა გააჩინე, გინდა მოიცილე!

ლია – (სასოწარკვეთილი) ბატონო თარაშ, ბატონო თარაშ... (ისმის სახეზე სილის გალაწუნების ხმა)

მინდა იცოდეთ, რომ ამ სერიალს საკუთარ სახლში გადაღლილი, ნანერვიულები და შფოთიანი ქეთინო ასანია უცქერს. უფრო სწორად – უცქერდა, რომ არა მისი უცაბედი გარდაცვალება. ქეთინო ასანია საყვარელი სერიალის საყურებლად მოემზადა თუ არა, ჩუმად დალია სული. მაგრამ, ეს ჯერ არ იცის მსმენელმა. ამას ახლავე გამოვასწორებ.

(შემოსასვლელი კარი ჭრიალით იღება. მძიმე ნაბიჯების ხმა გვესმის, რომელიც უეცრად ჩერდება. ეს ხმა ქეთინო ასანიას თხუთმეტი წლის წინ გარდაცვლილ მეუღლეს ზვიად ასანიას ეკუთვნის)

ზვიადი – (ჩუმად) ქეთინო, ქეთინო...

ქეთინო – (ნამძინარევი ხმით) ჰა, რა ხდება?

ზვიადი – ნუ გეშინია, ქეთინო. მე ვარ, შენი ქმარი, ზვიადი.

ქეთინო – უჰ, მოხვედი ზვიად? რავა შემაშინე, შე კაცო.

ზვიადი – მოვედი, ქეთინო. მოვედი და არ წავალ აწი უშენოდ.

ქეთინო – შემახედე ერთი? მოგიტანა სულიკომ ხო, ფეხსაცმელი? რავა გამახარე. ლაზადა? ლაზადა არ მოუტანია?

ზვიადი – კი მომიტანა, მარა ამ სიცხეში ხომ არ ჩავიცვამდი?

ქეთინო – ისე, კი გამიკვირდა, ამ ზაფხულში ლაზადა რად უნდა-თქო. რას მაჩქარებდი შე კაცო?

ზვიადი – რა ვიცოდი მე?

ქეთინო – უჰ, რავა გამახარე რომ იცოდე. რა დღეში ჩავაგდე ის პატიოსანი ხალხი. ყოველდღე მივდიოდი და შევჭამე პირდაპირ, არ დაგავაწყდეთ, ჩემ ქმარს ლაზადა და ფეხსაცმელი ჭირდება-თქო. გიჟი ვეგონე ალბათ.

ზვიადი – ჰო, ჩემო ქეთინო, მარა, ვერ გაიგე, რა გითხარი?

ქეთინო – რაო, ზვიად, რა მითხარი?

ზვიადი – მოვედი ქეთინო და უშენოდ არ წავალ აქედან.

ქეთინო – (სიცილით) რავა, დარჩენას აპირებ?

ზვიადი – არა, შენს წაყვანას.

ქეთინო – სად უნდა წამიყვანო, ზვიად? თხუთმეტი წელია მესიზმრები და ჯერ ჩემი წაყვანა არ გითქვამს შენ.

ზვიადი – იმიტომ, რომ მოვიდა დრო.

ქეთინო - რისი დრო, ზვიად?

ზვიადი - გამომგზავნა მიქელმა.

ქეთინო - რავა, კიდევ უნდა რამე? ყავა ხომ მოგიტანეს? ახლა, არ მითხრა, კიდევ რამე უნდაო, საფლავს ხომ არ ამოვათხრევინებ?

ზვიადი - არა... ეგ არა... როგორ გითხრა...

ქეთინო - კაი, მაშინ, წადი ახლა და მომიკითხე ჩემი სულიკო. უთხარი, დამაკლდი ძალიან-თქო. სერიალის ამბავიც უთხარი. გადაეცი, საწყალ ლიას აყვა-თქვა იმ არაკაცი თარაშისგან და უარყოფს-თქო.

ზვიადი - ვერ გაიგე, ქალო? მოკვდი შენ. მოვედი, რომ წაგიყვანო. წარგადგინო მიქელთან.

ქეთინო - (სიცილით) კაი, ერთი... (პაუზის შემდეგ. სერიოზულად) რავა...

ზვიადი - მოკვდი შენ და მოვედი. ასეთია წესი. ადექი ახლა და აგიხსნი გზაში ყველაფერს.

ქეთინო - რას ქვია მოკვდი? რატო მიყურებ ასე? მართლა მოკვდი, თუ?

ზვიადი - შენ საშიში გეგონა?

ქეთინო - და... სახლი... ასე უცებ... მოუმზადებლად... დამცინი, ხო?... არ დამცინი...

ზვიადი - ადექი. წამოდი, წაგიყვანო...

ქეთინო - და... აქ...

ზვიადი - მაგი უკვე აღარაა შენი საზრუნავი. მიხედავენ ყველაფერს.

ქეთინო - (სკამიდან დგება) ის ხალხი რატომ შემაწუხებინე აბა? მე თუ ვკვდებოდი, მე წამოგიღებდი, რაც გჭირდებოდა...

ზვიადი - წინასწარ რა ვიცოდი, შე ქალო, სულიკოს თუ მიყვებოდი?

ქეთინო - ასე არ მოკვდი შენც? მოკვდა სულიკოს მურმანი და მოკვდი შენც.

ზვიადი - ხანდახან ყველაფერს ვერ გამოიცნობ.

ქეთინო - ასე მოკვდა ჩემი სულიკოც?

ზვიადი - კი...

ქეთინო - ჩემმა მშობლებმა იციან?

ზვიადი - კი, და გელოდებიან.

(ზვიადის და ქეთინოს ნაბიჯების ხმა)

ქეთინო - გაფიცებ, მითხარი, ყავა რამ გაგახსენა?

ზვიადი - იქ ლუბაა ერთი, მიქელის მდივანი და სულიკოს ამბავი ხომ იცი შენ, როგორი ეჭვიანია. წამოდი, გველოდებიან, გზაში მოგიყვები ყველაფერს.

(კარი იღება)

ქეთინო - გული მწყდება რაღაც...

ზვიადი - არ გაგიხარდა, ერთად რომ ვიქნებით?

ქეთინო - რავა არ გამიხარდა, შე კაცო.

ზვიადი - ჩემო ქეთინო...

ქეთინო - ზვიად... მართლა მოკვდი?

ზვიადი - კი, მკვდარი ხარ, ქეთინო.

ქეთინო - მე კიდევ სიკვდილის მეშინოდა. კაი, მაშინ.

(ხის კარი იკეტება)

სურათი მეთერთმეტე
მოულოდნელი ზარი

მანქანაში. შემხვედრი მანქანების ხმა. მამა-შვილი ალჟირ და გივიკო
ცაბურიები დედაქალაქისაკენ მიდიან.

გივიკო - არა, შენზე ვბრაზდები, იმ გიჟ ქალს რომ დაუჯერე და საფლავი
ამომათხრევინე. არ შეგეცოდე მაინც?

ალჟირი - ვისთვის მეთქვა აბა? სკაიპით დამერეკა დედაშენისთვის?
იცოდე, დედაშენს ეს ამბავი არ მოუყვე, თორემ საერთოდ აღარ ჩამოვა
საბერძნეთიდან.

გივიკო - დედაჩემს კი არა, ჩემს თავს არ მოვუყვები.

ალჟირი - სადმე გაგიგია? მკვდარს სხვა მკვდარისთვის რამე ჩაეტანოს?

გივიკო - არა.

ალჟირი - ის თუ გაგიგია, სიზმარში მკვდრები ყავას რომ სვამდნენ?

გივიკო - არა.

ალჟირი - ის თუ გაგიგია, თურმე მკვდარს რომ ვერ მოატყუებ?
გივიკო - არა.
ალჟირი - კარგი, მაშინ.

(მანქანის რადიო ირთვება. რადიოში საინფორმაციო გამოშვებაა)

ქალის ხმა რადიოდან - „გასული კვირის მანძილზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენების მოწმე იყო. ერაყში ტერორისტებმა არაბული და დასავლური მთავრობების მცდელობის მიუხედავად...“

(რადიოს ხმა ეწევა. მობილური ტელეფონი რეკავს.)

ალჟირი - ვინ უნდა იყოს ამ უთენია? ალო...
ოპერატორი - (აქ და შემდეგ, მისი ხმა ტელეფონის ეფექტით ისმის) ალო, ბატონო ალჟირ, ოპერატორი ვარ ადგილობრივი ტელევიზიიდან. გესმით? ალო...
ალჟირი - კი, კი მესმის. ხომ მშვიდობაა.
ოპერატორი - არა, არ არის მშვიდობა. უბედურება დაგვატყდა თავს, ბატონო ალჟირ. მწუხარებასაა მიცემული მთელი სოფელი.

ალჟირი - (მანქანის მუხრჭის ხმა) რა მოხდა!

გივიკო - რა მოხდა, მამა.

ოპერატორი - ჩვენი საწყალი ქეთინო ასანიას შვილის მობილურზე ვრეკავ და გამორთული აქვს. სახლის ტელეფონი ხომ არ იცით?

ალჟირი - რატოა საწყალი ქეთინო ასანია? ჩემი ხელით გავთხარე საფლავი, ჩემი ხელით ჩავატანე მაგის ქმრისთვის ლაბადა, ფეხსაცმელი და ყავა. არ მითხრათ ახლა კიდევ არ მიუტანიაო, თორემ არ ვიცი რას ვიზამ.

ოპერატორი - არ ვიცი რასა ბრძანებთ, ბატონო ალჟირ, რა საფლავი გათხარეთ, მაგრამ, ახალი საფლავი კი გვაქვს გასათხრელი და მაგიტომ ვეძებ ქეთინო ასანიას შვილს.

ალჟირი - (ყვირილით) მე დედაჩემს მეორეჯერ აღარ ამოვთხრი და არც ქეთინოს შვილს გავათხრეინებ!

ოპერატორი - დედათქვენისთვის აღარ არის საჭირო, ბატონო ალჟირ. დღეს დილით სული დალია ქეთინო ასანიამ. შვილს მინდა შევატყობინო. (პაუზაა. ალჟირი არ პასუხობს. გვერდით შემხვედრი მანქანა ჩაივლის. პაუზის შემდეგ, ნიშნისმოგებით) აბა.. აბა... საწყალი ქეთინო...

ალჟირი - (ჩუმად) ქეთონო მომკვდარა.

გივიკო - საწყალი...

ალჟირი - ვედარ გაიგებ, ცოცხალი ჯობია იყო თუ მკვდარი.

გივიკო - ალბათ ცოცხალივით მკვდარი. მოატრიალე მანქანა, მამა, დავბრუნდეთ სოფელში.

(მანქანა დაიძვრება და ნელა გვცილდება)

დასასრული